გიორგი შერმადინი

მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის სამართლებრივი რეგულაცია და პრობლემები ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, [გიორგი შერმადინი]

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: გიორგი შერმადინი

თარიღი : 22/06/2021

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გიორგი შერმადინის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: **მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის სამართლებრივი რეგულაცია და პრობლემები ქართულ სამართლებრივ სივრცეში** და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაკა კარტოზია

თარიღი : 22/ 06 /2021

რეზიუმე

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მხარდაჭერის ინსტიტუტის შემოღებამდე არსებული მდგომარეობა და დღეის მდგომარეობით არსებული მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის პროცედურა, სასამართლოს მიერ უკვე ცნობილი მხარდაჭერის მიმღები პირის უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობა, იმ პირების და ორგანიზაციების ფუნქცია და როლი, რომლებიც პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეში არიან ჩართულნი, ასევე ის სირთულეები და საკანონმდებლო ხარვეზები რომელიც არსებობს პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტი რამოდენიმე წელია ფუნქციონირებს და ერთი შეხედვით ყველა თავდაპირველად არსებული ბუნდოვანი საკითხი დარეგულირებულია სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკით, დღესაც უამრავი პრობლემაა ამ მიმართულებით, რომელთა გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს მხადაჭერის მიმღებ პირებს და მხარდამჭერებს ამ საქმის სასამართლოში წარმოებისას.

სამაგისტრო ნაშრომში ასევე განხილულია ევროპის წამყვანი ქვეყნების მიდგომები ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა ნაშრომი იძლეოდეს პარალელის გავლების შესაძლებლობას ამ საკითხზე ევროპულ და ქართულ კანონმდებლობებს შორის.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული ის საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია საქმის სასამართლოში დასაწყებად და საწარმოებლად. ასევე ნაშრომში მითითებულია სასამართლოს მიდგომები ამ საკითხებთან დაკავშირებით.

ნაშრომი შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან.

ნაშრომის პირველი თავი შეეხება ქმედუუნარობის სისტემის რეფორმამდე არსებულ სამართლებრივ მდგომარეობას იმ პირებისათვის, რომელთა დიაგნოზიც იყო „ჭკუასუსტობა“ ან „ სულით ავადმყოფობა“, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ამ გადაწყვეტილებით დამდგარი სამართლებრივი შედეგები.

ნაშრომის მეორე თავი შეეხება მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის პროცედურას, იმ უწყებებისა და პირების როლს, რომლებიც ამ საქმეში არიან ჩართულნი.

ნაშრომის მესამე თავი შეეხება მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებებს, რომლებიც მათ შეიძინეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014

წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ასევე ამ უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ნაშრომის მეოთხე თავში მითითებულია ის საკანონმდებლო ხარვეზები და სამართლებრივი პრობლემები, რომელიც ქმედუუნარობის ინსტიტუტის რეფორმას მოჰყვა და დღესაც აქტუალურ საკითხებად რჩება მხარდამჭერი პირისათვის. ასევე ნაშრომის მეოთხე თავი მოიცავს იმ პრობლემების გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით გადაუჭრელია ამ თემის ირგვლივ.

Abstract

This master's thesis discusses the situation prior to the introduction of the institute of support and the current procedure of recognition asupporter recipient, the legal status of the supporter recipientalready recognized by the court, the function and role of the persons and organizations involved in the case of recognition as a supporter recipient, also the difficulties and legal gaps that exist in the case of recognition of a person as a supporter recipient.

Although the institute of support has been in operation for many years and initially at first glanse all the vague issues are regulated by the judicial practice, there are still numerous problems in this field, the solution of which will help supporter recipients and supporters during legal proceedings.

This master thesis also dels whith the approaches of the leading European countries in order to allow to draw parallels between European and Georgian legislation in this area.

The paper considers in details the issues that are crucial for initiating judicial proceedings. It also points out the approaches of the court on this topic.

The tesis consists of an introduction and four chapters. The introduction part includes the relevance of the topic, the general picture of the institution of incapacity before and after the reform.

The first chapter deals with the legal situation before the reform of the institution of incapacity for those who werediagnosed whith "mental weakness" or mental illness", as well as the significance of the decision of the Constitutional Court and the legal consequences of that decision.

The second chapter is concerned with the procedure of recognition of the supporter recipient, the role of the organizations and individuals involved in this case.

The third chapter addresses the rights of the supporter recipients, which they have acquired by the decision of the Constitutional Court of Georgia (October 8th , 2014), along with the problems related to the realization of this rights.

The fourth chapter points out the legislative gaps and legal problems that followed thereform of the institution of in capacity and still remains as a pressing issue for each of the person who wants recognition as a supporter recipient and already recognized onec. It also includes the alternative solutions of the problems that are currently unresolved around this topic.

შინაარსი

შესავალი 9

ლიტერატურის მიმოხილვა 12

თავი 1. ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ინსტიტუციური რეფორმა 14

1.1 ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი მდგომარეობა საქართველოში. 14

1.2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი მიზანი, მოსალოდნელი და დამდგარი შედეგები ქართულ სამართლებრივ სივრცეში. 20

თავი 2. მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის სამართლებრივი პროცედურა. 25

2.1 პირის მიერ მხარდაჭერის მიღების წინაპირობები და განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები. 25

2.2 განცხადების შინაარსი და მისი დასაშვებობა სასამართლოში განსახილველად. 28

2.3 დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა სასამართლოს მიერ და მისი პროცედურა. 34

2.4 მხარდაჭერის მიმღები პირების სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე. 35

2.5 ექსპერტიზის ჩატარება და საქმის წარმოების შეჩერება 37

2.6 სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და მისი გასაჩივრების წესი. 39

2.7. მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის, გადასინჯვის, გაუქმების, შეწყვეტისა და მხარდამჭერის ჩანაცვლების პროცედურა. 44

2.8 მხარდამჭერის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა..... 46

თავი 3. მხარდაჭერის მიმღების ცალკეული უფლებები და მათი განხორციელების პრობლემები. ევროპის ქვეყნის მიდგომები. 49

3.1 სამოქალაქო გარიგების დადების უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა. 49

3.2 მხარდაჭერის მიმღების შრომითი საქმიანობის უფლება. 52

3.3 მხარდაჭერის მიმღების დაქორწინების უფლება. 56

3.4 მხარდაჭერის მიმღების საარჩევნო უფლება. 59

3.5 მხარდაჭერის მიმღების უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე. 61

3.7 ევროპის ქვეყნების მიდგომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით..... 63

თავი 4. მხარდაჭერის ინსტიტუთთან დაკავშირებული პრობლემები..... 68

4.1 მხარდაჭერის ინსტიტუტის საკანონმდებლო ხარვეზები. 68

4.2 სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არსებული პრობლემები. 70

შედეგები და მათი განსჯა 72

დასკვნა 73

გამოყენებული ლიტერატურა 76

შესავალი

უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა პირის სამოქალაქო უფლება–მოვალეობების შეძენის და განხორციელების უმნიშვნელოვანეს წინაპირობებს წარმოადგენს ქართულ სამართლებრივ სივრცეში, რამდენადაც სწორედ მასზეა დამოკიდებული პირის სამოქალაქო უფლებების წარმოშობა, განხორცილება და დაცვა.

უფლებაუნარიანობას, ქმედუნარიანობას და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და იგი ყოველთვის განსჯის საგანს წარმოადგენს სამართლებრივ წრეებში.

საქართველოში სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებისთანავე არსებობდა ქმედუუნარობის ინსტიტუტი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ქმედუუნარო პირის ნების სრული ჩანაცვლება მეურვით. ამ შემთხვევაში ქმედუუნაროდ აღიარება ართმევდა პირს ყოველგვარ შესაძლებლობას რაიმე მოცულობით თავისი შეხედულების შესაბამისად განეხორციელებინა რომელიმე სამოქალაქო უფლება ან მოვალეობა, მინიმალურ დონეზეც კი.

კანონმდებლობის ამგვარი მიდგომებიდან გამომდინარე პირი იყო სამართლის ერთგვარი ობიექტი და არა სამართლის სუბიექტი.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე ჩვენს ქვეყანაში არსებული ქმედუუნარობის ინსტიტუტი (სისტემა) არ იყო შესაბამისობაში საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და მას არაფერი ჰქონდა საერთო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს.

ამ გარემოებების გათვალისწინებით და ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო სისტემის გამო 2012 წლის 27 ივნისს საქართველოს მოქალაქეებმა ირაკლი ქემოკლიძემ და დავით ხარაძემ საკონსტიტუციო სარჩელით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვეს პირის ქმედუუნაროდ აღიარების და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და არაკონსტუტუციურად იქნა ცნობილი სამართლის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებდა პირის ქმედუუნაროდ აღიარების პროცედურას და მის თანმდევ სამართლებრივ შედეგებს. [1]

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო საკანონმდებლო ცვლილებების მთელი პაკეტი, რომლის წყალობითაც პირველ რიგში ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში და ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ასევე ცვლილებები შევიდა იმ საკანონმდებლო აქტებშიც სადაც პირი იყო მოხსენიებული როგორც ქმედუუნარო, ასევე სხვადასხვა საკანონმდებლო აქტიდან კი

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

ამოღებულ იქნა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ჭკუასუსტობა“ და „სულით ავადმყოფობა“. საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ და დღეის მდგომარეობით აღარ არსებობს ქმედუუნარობის ცნება და იგი ჩანაცვლებულია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ცნებით (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები). ამ საკანონმდებლო ცვლილებებმა გამოიწვია, რომ ის პირები, რომელებსაც არანაირი სამოქალაქო უფლებები არ გააჩნდათ შეიძინეს მთელი რიგი სამოქალაქო უფლებები და კანონმდებელმა სრულფასოვან ადამიანებად აღიარა.“[2]

ახალმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ძირეულად შეცვალა სახელმწიფოს მიდგომა ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებრივი და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ და ამ საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს მიანდო. აღნიშნული ცვლილებები უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია ევროკავშირთან საქართველოს სამართლებრივი დაახლოების გზაზე.

მხარდაჭერის ინსტიტუტის ამოქმედებამ ამ საკითხს განსაკუთრებული აქტუალობა შესძინა იმ პირობებში, როდესაც დაიწყო მისი დანერგვა ქართულ სამართლებრივ სივრცეში, თუმცა წლების განმავლობაში არსებული ქმედუუნარობის ინსტიტუტის ჩანაცვლება და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პრაქტიკაში დანერგვა არ ყოფილა მარტივი. დღემდე უამრავი პრობლემა არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განხილულია ნაშრომში.

[2] კუპატაძე თ., ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია, თსუ - კონფერენცია, N1 სპეციალური გამოცემა, 2016, გვ.43.

ლიტერატურის მიმოხილვა

ქმედუუნარობის სისტემის რეფორმის ძირთადი საფუძველი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც განხორციელდა ქმედუუნარობის ინსტიტუტის ერთგვარი გაუქმება (არაკონსტიტუციურად ცნობა) და ახალი ინსტიტუტის - მხარდაჭერის შემოღება ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

საქართველოს საკონსსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ ძირეული ცვლილება შეიტანა იმ პირების უფლებებრივ მდგომარეობაზე, სწორედ ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება არის ძირითადი ამოსავალი წერტილი მხარდაჭერის ინსტიტუტის განხილვისას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღების შემდგომ მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა მოქმედ კანონმდებლობაში მოხდა ახალი ტერმინის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ცნების (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები) და მხარდამჭერის შემოღება ქართულ სამართლებრივ სივრცეში. ნაშრომში სწორედ ამ საკანონმდებლო აქტებში შესული სიახლეების შედეგად საკითხის ახლებური რეგულაციები არის განხილული.

ასევე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია რაიონული(საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობა და მხარდამჭერის დანიშვნა.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები ძირითადად არის მშრალი ხასიათის, იქიდან გამომდინარე, რომ ძირითად შემთხვევებში განმცხადებლები, მხარდაჭერის მიმღები პირის ადვოკატები და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლები უარს აცხადებენ მიღებული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე, სასამართლო ძირითად შემთხვევებში ამზადებს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს, ეს ფაქტორი განაპირობებს სასამართლო გადაწყვეტილებების შაბლონურ ხასიათს.

ნაშრომზე მუშაობისას ავტორმა გამოიყენა არასამთავრობო ორგანიზაციების, სახალხო დამცველის და საკითხით დაინტერესებული პირების მიერ მომზადებული და გამოქვეყნებული ანგარიშები, კვლევის შედეგები და სტატიები, რომლებიც შეეხება მხარდაჭერის ინსტიტუტის სამართლებრივ რეგულირებას, პრობლემებს და საკანონმდებლო ხარვეზებს.

ნაშრომში ასევე განხილულია ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომელისაც იყენებენ ევროპის წამყვანი ქვეყნები შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირების სამართლებრივი პრობლემების რეგულირებისას.

თავი 1. ქმედუნარიანობის ინსტიტუტის ინსტიტუციური რეფორმა

1.1 ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდელი მდგომარეობა საქართველოში.

უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა ის ორი ინსტიტუტია, რომელიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და ძალიან რთულია ერთის არსებობა მეორის გარეშე და პირიქით. იმ პირებისათვის, რომელთა დიაგნოზიც იყო „ჭკუასუსტობა“ ან „სულით ავადმყოფობა“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლიდან მრავალი წელი

ფაქტობრივად უფლებაუნარიანობა არ არსებობდა, ვინაიდან მათი დიაგნოზი განსაზღვრავდა მათი უფლებრივ შესაძლებლობას.

„საკანონმდებლო ცვლილებების მიღებამდე პირის ქმედუნარიანად მიჩნევისათვის აუცილებელი იყო, რომ მას მიეღწია გარკვეული ასაკისათვის, ქონოდა შესაბამისი განსჯის უნარი მის მიერ განსახორციელებელი ქმედებების მიმართ და პირს ანგარიში უნდა გაეწია მის მოქმედებებზე, შესაბამისად ქმედუნარიანობა დაკავშირებული იყო პირის ასაკთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან.“[3]

„ჭკუასუსტობის“ ან „სულით ავადმყოფობის“ დიაგნოზის მქონე პირებისათვის არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ მეურვე, რომელიც იყო მათი წარმომადგენელი ნებისმიერი საკითხის და საჭიროების გადაწყვეტისას. ასეთი დიაგნოზის ქონა და სასამართლო წესით პირისათვის ქმედუუნაროდ ცნობა, ფაქტობრივად იყო უფლებაუნარიანობის ჩამორთმევის განაჩენი სამუდამოდ.

სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირს ქმედუუნარობის სისტემის რეფორმამდე არ ქონდა ის უფლებები, რომელიც ყველა ადამიანს აქვს დაბადებით მინიჭებული და შემდგომ განმტკიცებული ეროვნული შიდა კანონმდებლობით.

„რეფორმამდელი მოდელით ქმედუუნარო პირის ნებელობითი სფერო სრულად იყო მიბმული მეურვის ნებაზე. არ ხდებოდა პირის ფსიქიკური შესაძლებლობების ინდივიდუალური გათვალისწინება, რამდენად შეეძლო მას გარკვეულ სფეროში და გარკვეული საკითხების გადაწყვეტისას

[3] ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომც.“თბილისი“, 2000, გვ.151.

მონაწილეობის მიღება, ხდებოდა ერთგვარად ქმედუუნაროდ ცნობილი პირის ნების ჩანაცვლება მეურვის ნებით.“[4]

,,ქმედუუნარო პირები კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობდნენ. მათ მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება, ასევე მათ მიერ ან მათ მიმართ გამოვლენილი ნება უცილოდ ბათილი იყო.“[5]

,,მეურვეთა მხრიდან მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, ქმედუუნარო პირები ასევე მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას, დაეცვათ საკუთარი ინტერესები მეურვეების არაკეთილსინდისიერი მოქმედებებისაგან და გაესაჩივრებინათ ისინი სასამართლოში ან სხვა ორგანოში, რომელიც განაპირობებდა მათი ინტერესების დაცვას.“[6]

„ქმედუნარიანობის ინსტიტუტის რეფორმამდე, განსაკუთრებით მწვავედ იდგა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე, ქმედუუნარო პირებისათვის ფსიქიატრიული დახმარების მიწოდებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია ქმედუუნაროდ აღიარებული პირის მეურვის მხრიდან გამოხატული თანხმობა, როგორც ნებაყოფლობითი მკურნალობის საფუძველი. ამავე გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ქმედუუნაროდ აღიარებული პირისათვის ინფორმაციაზე წვდომის, ნებაყოფლობითი მკურნალობის, საკუთარი სურვილით ფსიქიატრიული დაწესებულებისა და შესაბამისი მკურნალი ექიმის არჩევის, ასევე

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

[5] ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2011, გვ.184.

[6] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, გვ.8.

გამოკვლევისა და მკურნალობის შეწყვეტის თავისუფლების შემზღუდავი ნორმები.“[7]

სწორედ ქმედუუნარობის ინსტიტუტის ამ სამართლებრივი რეგულაციის არსებობის გამო საქართველოს მოქალაქეებმა ირაკლი ქემოკლიძემ და დავით ხარაძემ მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით და მოითხოვეს იმ სამართლებრივი რეგულაციის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლის რეჟიმშიც ათასობით ადამიანს ერთგვარად ჩამორთმეული ჰქონდა სამოქალაქო უფლებაუნარიანობა.

„საკონსტიტუციო სარჩელში მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ სადავო ნორმების თანახმად, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ განსაზღვრული მეურვე სამეურვეო პირს განსაკუთრებული წარმომადგენლობის გარეშე წარმოადგენს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. ამასთანავე, ამ პირის სახელითა და მისი ინტერესებიდან გამომდინარე, დებს ყველა აუცილებელ გარიგებას. სადავო ნორმების მიხედვით, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირს ეკრძალება ქორწინება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესით.“[8]

„მხარე საკონსტიტუციო სარჩელში უთითებდა, რომ კანონმდებელმა არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ თავად გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირებს შორის არის არსებითი განსხვავება. მაგალითად, მაღალი ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობის ან განგრძობადი შიზოფრენიის შემთხვევაში, შესაძლებელია, ადამიანი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას სრულად იყოს მოკლებული.

---

[7] ედიშერაშვილი თ.მხარდაჭერის ინსტიტუტი <http://www.gruni.edu.ge/other_content/index/790/1574860095 [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 04.06.2021].

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

შესაბამისად, ამ შემთხვევაში სამეურვეო პირის ნების მთლიანად ჩანაცვლება მეურვის ნებით გამართლებულია. თუმცა, სხვა კატეგორიის გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის შემთხვევაში, შესაძლოა, ადამიანები ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით ინარჩუნებდნენ გადაწყვეტილების მიღების უნარს. სადავო ნორმები არ ითვალისწინებს ამგვარ განსხვავებას და გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის ნებისმიერი ხარისხის მქონე პირს, ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინების გარეშე, სრულად ართმევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.“[9]

„საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე არსებული ნორმების თანახმად, ქმედუუნაროდ ცნობილი პირის განკურნების ან მისი ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში, პირის ქმედუნარიანობის აღსადგენად სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ჰქონდა მხოლოდ მეურვეს, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულებასა და ოჯახის წევრს. საკონსტიტუციო სარჩელში მოსარჩელე მხარემ მიუთითა, რომ სადავო ნორმების საფუძველზე, შესაძლებელია, ზემოხსენებულმა სუბიექტებმა ბოროტად ისარგებლონ თავიანთი უფლებით და პირს არ მისცენ საშუალება, აღიდგინოს ქმედუნარიანობა. მოსარჩელისთვის გაუგებარია, იმ შემთხვევაში, თუ მოხდა პირის განკურნება ან მისი ჯანმრთელობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება, თავად მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ქმედუნარიანობის აღდგენა.

სარჩელში ასევე აღნიშნული იყო რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირს ჩამორთმეული ჰქონდა ქორწინების უფლება. მოსარჩელის

[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

მითითებით, ზოგადად, გონებრივი ჩამორჩენილობისა და სულიერი აშლილობის მქონე პირის ნების ჩანაცვლება ხდება მეურვის ნებით, თუმცა ქორწინების უფლება წარმოადგენს პერსონალურ უფლებას და მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მეურვე ვერ გამოავლენს ქორწინების წარმოშობისთვის აუცილებელ ნებას.“[10]

„2015 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, სიახლეა, რომ ნორმა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს აღიარებს ქმედუნარიან პირად. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი ანუ პირი, რომელსაც აქვს ფსიქიკური, გონებრივი, ან/და ინტელექტუალური დარღვევები, სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მიიჩნევა ქმედუნარიანად, ანუ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები.”[11]

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქმედუუნარობის სისტემის რეფორმამდე სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირს არ ჰქონდა მთელი რიგი უფლებები, მათ შორის შრომის, არჩევნებში მონაწილეობის, სამეწარმეო საქმიანობის, პერსონალური ინფორმაციის მიღების, ფსიქიატრიული დახმარების მიზნით ექიმის არჩევის, ინფორმაციის მიღების, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის და ა.შ ყველა იმ უფლებით სარგებლობის რაც განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციაში და ენიჭება ყველა პირს დაბადებისთანავე.[12]

---

[10] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

[11] ზოიძე ბ. კორძაია თ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი 2017, გვ. 67.

[12] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

1.2 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი მიზანი, მოსალოდნელი და დამდგარი შედეგები ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საქმეზე N 2/4/532,533 ფსიქიკური დაავადების გამო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ქმედუნარიანობის შეზღუდვის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა და მიიღო ისეთი ნორმები, რომლებიც შეესაბამება როგორც საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების სტანდარტებს, ისე - გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მოთხოვნებს. აღნიშნული კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 26 დეკემბერს რატიფიცირდა და ძალაში შევიდა 2014 წლის 12 აპრილიდან.“[13]

„ქმედუნარიანობის ინსტიტუტის გარდაქმნით გაჩნდა ახალი ხედვა კანონმდებლობაში, რომელმაც ადამიანის სამართალსუბიექტობის კონვენციისეულ პრინციპებზე დაფუძნებული კონცეფცია განავითარა. მოქმედი მოდელის დანერგვით გაუქმდა ქმედუუნარობის, ანუ პირისათვის უფლებების და ვალდებულებების ჩამორთმევის შესაძლებლობა, რომელიც მხარდაჭერის მოდელმა ჩაანაცვლა. რეფორმის შინაარსი და სულისკვეთება ითვალისწინებს კონვენციის უმთავრეს პრინციპს, რომელიც ნების ჩანაცვლებისა და უფლებათა შეზღუდვის მოდელს მხარდაჭერის მექანიზმით ცვლის. თუმცა, რეფორმა ცალკეულ უფლებებთან მიმართებით, არ არის ამ იდეის თანმიმდევრული. კერძოდ, გარკვეულ უფლებებთან დაკავშირებით, მხარდაჭერის მიმღებ პირთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხი აცდენილია კონვენციის ფუნდამენტურ ხედვასა და თავად გატარებული

[13] კუპატაძე თ., ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია, თსუ - კონფერენცია, N1 სპეციალური გამოცემა, 2016, 43.

რეფორმის ლოგიკას. შედეგად, საკანონმდებლო ცვლილებები ზოგ შემთხვევაში დაუსაბუთებლად ზღუდავს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებას ან მათ უფლების სათანადო რეალიზების მიღმა ტოვებს.[14]

„სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასებისას, საკონსტიტუციო სასამართლო თავისთავად შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნით და ამოწმებს გასაჩივრებული ნორმების თავსებადობას კონსტიტუციით დაცულ უფლებებთან. ქმედუნარიანობის შინაარსის განსაზღვრისას, სასამართლოს მსჯელობაში არ შემოჰყავს საქართველოს მიერ სავალდებულოდ აღიარებული ის ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და მათი განმარტებები, რაც ქმედუნარიანობის ცნების გააზრების მნიშვნელოვან და ყველაზე ავტორიტეტულ წყაროებს წარმოადგენს. ქმედუნარიანობის შინაარსის განსაზღვრისას, საკონსტიტუციო სასამართლო მოიხმობს ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, როგორიცაა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციები. თუმცა, თავის მხრივ, ამ დოკუმენტებმა და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა სისტემებმა ამ დრომდე ვერ მოახერხეს იმ პარადიგმული ცვლილების სრულად ინკორპორირება, რასაც სახელმწიფოებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია აკისრებს ქმედუნარიანობის აღიარების ნაწილში. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რიგი რეკომენდაციები აღიარებს თანაბარი სამართალსუბიექტობის უფლებას როგორც ადამიანის უფლებების გარანტირებისათვის მნიშვნელოვან კატეგორიას. თუმცა, ინდივიდუალური მიდგომისა და საჭიროების გათვალისწინებით, პროპორციულობისა და ქმედუნარიანობის მაქსიმალური შენარჩუნების პრინციპების მხედველობაში მიღებით, უშვებს მის შეზღუდვას, არაბლანკეტური გზითა და კანონით

[14] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, გვ.16.

გათვალისწინებული წესით. შესაბამისად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები, რომლებიც თანაბარი სამართალსუბიექტობის საკითხს მიემართება, ქმედუნარიანობის შინაარსის განსაზღვრისას სათანადოდ არ ასახავს გაეროს კონვენციის მიერ აღიარებულ ხედვას.“[15]

„ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმა არ შეხებია უფლებაუნარიანის, შეზღუდულქმედუნარიანობისა და ასაკის გამო ქმედუუნარობის საკითხებს. რეფორმამ გააუქმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირის ქმედუუნარობის შესაძლებლობა და ისინი სრულად ქმედუნარიანად აღიარა. ეს გულისხმობს იმას, რომ მხარდაჭერის მიმღებს სრულად შეუძლია იტვირთოს სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება.“[16]

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია ერთგვარად წინმსწრები აქტი იყო ქართულ სამართლებრივ სივრცეში, ვინაიდან სწორედ ამ კონვენციამ განსაზღვრა და მოსთხოვა წევრ სახელმწიფოებს, რომ უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სამართლის სუბიექტად აღიარება, ასევე განსაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებაუნარიანობა სხვებთან თანაბარ პირობებში, ანუ ერთგვარად კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორობის პრინციპის ქვეშ მოაქცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ცხოვრების ყველა სფეროში.“[17]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებმა მიიღეს მთელი რიგი უფლებები, მათ შორის:

---

[15] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, 14.

[16] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, 17.

[17] გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, (მიღებულია 2006 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2008 წლის 3 მაისიდან) მუხლი 12.

სასამართლოსთვის მიმართვის უფლება, ქორწინების უფლება, შრომითი უფლებები, არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მათზე არსებული პერსონალური ინფორმაციის მიღების უფლება ყველა დაწესებულებიდან, სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაწევრიანების უფლება და ყველა სხვა უფლება, რომელიც გამომდინარეობს და დადგენილია შიდა კანონმდებლობით და წარმოადგენს ადამიანის ბუნებით უფლებებს.

,,საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 08 ოქტომბრის N2/4/532,533 გადაწყვეტილებით მთელი რიგი ნორმები არაკონსტიტუციურად ცნო, მაგრამ მათი მხოლოდ ნაწილი გამოაცხადა ძალადაკარგულად გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, მეორე ნაწილი კი 2015 წლის 01 პარილს შეწყვეტდა მოქმედებას. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს 6 თვე ჰქონდა რეფორმისთვის, მანამდე კი ძველი ნორმები იმოქმედებდა. ამ გადაწყვეტილებით, სასამართლომ ამჯობინა უფლებადამრღვევი ნორმები რამდენიმე თვით დარჩენილიყო ძალაში, ვიდრე სფერო რეგულირების გარეშე დაეტოვებინა. რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იზრდებოდა თავად ამ პირების მოწყვლადობით ბოროტად სარგებლობის რისკი, რაც ზიანის მომტანი იქნებოდა თავად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთათვის. საკანონმდებლო რეფორმა ვერ მოექცა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადებში და მისი სრულფასოვნად ამოქმედება 6 – თვიან ვადას 2 თვით გადასცდა.“ [18]

ირაკლი ქემოკლიძის და დავით ხარაძის მიერ წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელის ძირითადი მიზანი სწორედაც, რომ იყო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს მინიჭებოდათ ყველა ის უფლება, რასაც ჩვეულებრივი ადამიანი სარგებლობს ყოველდღიურ

[18] საქართველოს სახალხო დამცველი, კვლევის ანგარიში, ქმედუნარიანობა- საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, თბილისი 2016, გვ.16.

საქმიანობაში და აუცილებელია სამოქალაქო უფლება-ვალდებულების განსახორციელებლად.

მიღებულმა გადაწყვეტილებამ სწორედ ეს მიზანი შეასრულა და დღეის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობით ხდება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების ინდივიდუალური შეფასება მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ინდივიდუალურად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების საჭიროებების წარმოჩენას ცხოვრების კონკრეტულ სფეროში და მათ კონკრეტულ სფეროებში უწესდებათ მხარდაჭერა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებით და მის საფუძველზე მიღებული მთელი რიგი საკანონმდებლო სიახლეებით ერთგვარად მოწესრიგდა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების სამართლებრივი მდგომარეობა, თუმცა მიუხედავად ამ ყველაფრისა მათ დღემდე აქვთ უამრავი პრობლემა თუ დაბრკოლება, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს მათი უფლებების და შესაძლებლობების უკეთესად რეალიზაციას.

თავი 2. მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის სამართლებრივი პროცედურა.

2.1 პირის მიერ მხარდაჭერის მიღების წინაპირობები და განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირები.

ქმედუუნარობის ინსტიტუტის გაუქმების და მხარდაჭერის ინსტიტუტის შემოღების შემდგომ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, კანონმდებელმა განსაზღვრა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის დეფინიცია და გაწერა საკანონმდებლო ჩარჩოში მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის პროცედურა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად: „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.[19]

[19] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 12.4.

„ტერმინი „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“ მოიაზრებს სამ ძირითად კომპონენტს, რომელთაგან ერთ–ერთის არსებობა გამორიცხავს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად (მხარდაჭერის მიმღებად) აღიარებას. ტერმინი გულისხმობს: 1) ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები; 2) ეს დარღვევები სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებაში ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას; 3) საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირის სრული და ეფექტიანი მონაწილეობა იზომება სხვებთან თანაბარ პირობებში მონაწილეობის შესაძლებლობით.“[20]

მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები შესაძლოა მრავალი ხასიათის იყოს, მაგალითად: ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა, საშუალო ან მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა, შიზოფრენია, ბოდვითი აშლილობა, დემენცია და ა. შ. თითოეული ამ ფსიქიკური დაავადების მქონე პირის გონებრივი შესაძლებლობები განსხვავებულია და უნდა მოხდეს მათი ინდივიდუალური შეფასება სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის ექსპერტთა ჯგუფის შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს იმ პირების ჩამონათვალს, ვისაც აქვს უფლება ან ვალდებულება შეიტანოს განცხადება სასამართლოში საქმის საწარმოებლად, კერძოდ: „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება სასამართლოში შეიძლება შეიტანოს ამ პირმა, მისი ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ. პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება შეიტანება სასამართლოში ამ პირის საცხოვრებელი

[20] ზოიძე ბ. კორძაია თ, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი 2017. გვ.69, გვ.71.

ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული – სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.“[21]

საქართველოს კანონმა „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია დაავალდებულა, რომ თუ იქნება შესაბამისი წინაპირობები პაციენტის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის მიმართოს სასამართლოს განცხადებით, კერძოდ: „ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია მიმართოს სასამართლოს პაციენტის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის და მისთვის მხარდაჭერის დაწესების მოთხოვნით, თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მიიჩნევს, რომ პაციენტს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში.“ [22]

ოჯახის დეფინიციას არ იძლევა არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და არც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, თუმცა ოჯახის დეფინიცია ნაწილობრივ (ღატაკი ოჯახის სახით) არის განსაზღვრული სოციალური დახმარების შესახებ საქართველოს კანონით, ამ კანონის თანახმად: „ღატაკი ოჯახი – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია; ასევე შინასამეურნეო საქმიანობა არის ოჯახის სასიკეთოდ მიმართული საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის ერთობლივ გამოყენებას, მის მოვლა-პატრონობას,

[21] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[14].1.2.

[22] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ.7.62

ოჯახისათვის საჭირო საარსებო საშუალებების მოპოვებასა და ერთობლივ განკარგვა-განაწილებას.“ [23]

„მოქმედმა კანონმდებლობამ ერთის მხრივ განსსაზღვრა იმ პირთა წრე ვისაც უფლება ან ვალდებულება აქვს შეიტანოს განცხადება სასამართლოში, მეორეს მხრივ კო განსაზღვრა ვინ შეიძლება იყოს მხარდამჭერი. ამ წრის ჩამონათვალის მიხედვით მხარდამჭერად შესაბამისი გარემოებების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა იყოს: ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი, სპეციალისტი. ამასთანავე არ მოგვცა „ახლობლის“ დეფინიცია არცერთ საკანონმდებლო აქტში, ასევე არ მისცა უფლება ახლობელს განცხადების შეტანის.“[24]

2.2 განცხადების შინაარსი და მისი დასაშვებობა სასამართლოში განსახილველად.

,,სასამართლოსადმი განცხადებით მიმართვის ეტაპი პროცესის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც არსებითად განსაზღვრავს წარმოების შინაარს, ფარგლებს და ამდენად წარმოადგენს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას.“[25]

ნებისმიერმა პირმა ვისაც სურს სასამართლოში მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობისა და მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ განცხადების შეტანა უნდა გაითვალისწინოს ის საკანონმდებლო მოთხოვნები, რომელთა მეშვეობითაც ხდება განცხადების დასაშვებად ცნობა და შემდგომ საქმის სასამართლოში განხილვა.

,,დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის სამართალწარმოება არ არის უდავო

[23] ,,სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხ. 4.ნ.რ.ფ.

[24] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.1280.2.

[25] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, 43.

წარმოება, თუმცა შეიძლება მივიჩნიოთ დამოუკიდებელ არასასარჩელო წარმოებად, რომელმაც გაითვალისწინა მხარდაჭერის მიმღებად ცნობის პროცესში მხარდაჭერის მიმღების სავალდებულო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიები.“[26]

პირველ რიგში, რაც გასათვალისწინებელია არის ის, რომ განცხადება შეტანილ იქნეს იმ სასამართლოში, რომელსაც უფლება აქვს განიხილოს ეს საქმე,ერთგავრად აუცილებელია განსჯადობის წესების დაცვა პირველ ეტაპზე. „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[14] მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ,,განცხადება სასამართლოს უნდა წარედგინოს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ ეს პირი სამკურნალო დაწესებულებაშია მოთავსებული – სამკურნალო დაწესებულების ადგილმდებარეობის მიხედვით.“[27]

განსჯადობის განსაზღვრის შემდგომ განცხადება უნდა მომზადდეს იმ ფორმალური და საკანონმდებლო მოთხოვნების/წესების დაცვით რაც დადგენილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ: განცხადებაში უნდა მიეთითოს: „ ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეიტანება განცხადება ბ) სფერო, რომელშიც პირს მხარდაჭერა სჭირდება, აგრეთვე პირის მხარდაჭერის საჭიროება მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით გ) ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც განმცხადებელი ამყარებს თავის მოთხოვნას დ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს განმცხადებლის მიერ მითითებულ გარემოებებს და იმ ფაქტს, რომ პირს აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივ/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში ე) განმცხადებლის მოთხოვნა

[26] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, 39.

[27] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[14].ნ.2.

ვ) განმცხადებლის შუამდგომლობა – ასეთის არსებობის შემთვევაში.“[28] „ამავე მუხლის მერე ნაწილის თანახმად, განმცხადებელს ვალდებულება აქვს წარუდგინოს სასამართლოს ფსიქიატრის, ფსიქოლოგისა და სოციალური ექსპერტის დასკვნები პირის ფსიქიკური მდგომარეობის და სოციალური ადაპტაციის შესახებ, არსებობის შემთხვევაში.“[29]

განმცხადებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ განცხადებაში ზუსტად და ლაკონურად გასაზღვროს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირისათვის სასამართლოს მიერ განსახილველი სფერო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს იმ არაზუსტი სფეროების ჩამონათვალს, რომელშიც პირს შესაძლოა დაენიშნოს მხარდაჭერა, კერძოდ ესენია: „შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს.“[30]

არსებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების თანახმად კი სფეროების ჩამონათვალი ასეთია, რაშიც ინიშნება მხარდამჭერი: „წვრილმანი გარიგების დადების სფერო; სახელმწიფო სოციალური გასაცემლის (პენსია და სხვა) დანიშვნა/მიღება/განკარგვის სფერო, მათ შორის საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხის მიღება/განკარგვის და ამ მიზნით საბანკო დაწესებულებებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობის სფერო; მედიკამენტების (მათ შორის რეცეპტით გასაცემი) მიღებისა და შეძენის სფერო; მკურნალობაზე/რეაბილიტაციაზე თანხმობის გამოხატვის სფერო;

[28] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[14].ნ.1.
[29] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363[14].ნ.2.
[30] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[15].ნ.3.

დახმარების (მოვლის, მკურნალობის, გადაადგილების საშუალებები, ფულადი თანხა და სხვ.) მიღების მიზნით, ადმინისტრაციულ ორგანოებთან, კერძო კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობისას, წარმომადგენლობის განხორციელების სფერო; მოქალაქის პირადობის მოწმობის შეცვლის მიზნით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შესაბამის სამსახურთან ურთიერთობისას, წარმომადგენლობის განხორციელების სფერო; საზღვრის გადაკვეთისა და ბიომეტრიული პასპორტის აღების მიზნით საჯარო დაწესებულებებთან (მათ შორის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებთან) ურთიერთობის სფერო; სასამართლოსთან ურთიერთობის სფერო, სამკვიდრო ქონების მიღების მიზნით ნოტარიუსთან, საქართველოს ეროვნულ არქივში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარმომადგენლობის სფერო და ა. შ.“[31]

---

[31] 1) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4693-18. 14.05.2018 წ.
2) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/22952-19. 16.04.2019 წ.
3) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/2623-19. 20.12.2019 წ.
4) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3416/2019. 10.03.2020 წ.
5) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/421-19. 26.03.2020წ.
6) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/9224-18. 30.07.2018წ.
7) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/3812/18. 20.12.2019წ.
8) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/1362/19. 20.12.2019წ.
10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/166/19. 24.02.2020წ.
11) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/744-19. 26.03.2020წ.
12) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/24175-18. 29.01.2019 წ.
13) გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/630-19. 27.12.2019წ.
14) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3892/2019წ. 10.03.2020 წ.
15) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/11819-16. 12.01.2018წ.

ამ სფეროების ჩამონათვალი არ არის ზუსტი, ვინაიდან შეუძლებელია მოხდეს ადამიანური ყოველდღიური საჭიროებების სფეროებად ამომწურავად განსაზღვრა, სწორედ ამიტომ კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა უფლება ინდივიდუალურად განსაზღვროს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების ინდივიდუალური მოთხოვნილებები და მხოლოდ ამის შემდგომ მოახდინოს ყოველ კონკრეტულ სფეროში მხარდამჭერის დანიშვნა.

---

16) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3416/2019წ. 10.03.2020 წ.

17) თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე N 2ბ/1470-17. 06.07.2017წ.

18) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/2946/2019წ. 26.02.2020 წ.

19) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/7265-20, 03. 06.2021წ.

20) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/27125-20, 10. 06.2021წ.

21) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/15192-20, 10. 06.2021წ.

22) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/25870-20, 10. 06.2021წ.

23) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/2734-20, 03.07.2020წ.

24) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/29946-20, 01.07.2020წ.

25) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/31090-19, 12.03.2020წ.

26) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/8647-19, 25.02.2020წ.

27) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/1092-20, 07.02.2020წ.

28) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/30257-19, 25.06.2020წ.

29) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/30469-18, 26.07.2019წ.

30) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/3158-19, 18.06.2019წ.

31) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/5365-19, 26.11.2019წ.

32) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/5758-19, 02.09.2019წ.

33) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/1573-19, 26.09.2019წ.

ასევე განმცხადებელმა უნდა დაურთოს განცხადებას ის მტკიცებულებები სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებამდე, რომლითაც დადასტურდება, რომ პირს აქვს ფსიქოლოგიური, მენტალური პრობლემები, ასეთია მაგ: სამედიცინო ცნობა ფორმა N100, სადაც მითითებული უნდა იყოს პირის შესაბამისი დიაგნოზი და ცნობის გაცემის მომენტში არსებული ჯანმრთელობის მდგომარეობა.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა რაიონის რაიონულ და საქალაქო სასამართლლოებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე დეტალური მსჯელობა იქნება ქვემოთ.

განმცხადებლის მიერ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით განცხადების წარდგენის შემთხვევაში „სასამართლო იღებს განჩინებას განცხადების წარმოებაში მიღების შესახებ მისი შეტანიდან 5 დღის ვადაში, ხოლო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[16]–ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „განცხადების სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაუცველად შეტანის შემთხვევაში სასამართლო ადგენს ხარვეზს და განმცხადებელს მის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს 3 დღეზე ნაკლები. ხარვეზის გონივრულ ვადაში აღმოფხვრის შემთხვევაში სასამართლო განცხადებას წარმოებაში იღებს, ხოლო თუ ხარვეზი არ აღმოიფხვრა, მას გამოაქვს განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ და განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს განმცხადებელს უბრუნებს. მხარეს უფლება აქვს ამ განჩინების მიღების შემდგომ გაასაჩივროს სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება კერძო საჩივრით.“[32]

[32] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[16] .

2.3 დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა სასამართლოს მიერ და მისი პროცედურა.

ყველა საქმის განხილვა, მათ შორის მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის საქმის განხილვაც დაკავშირებულია გარკვეული დროსთან, ხშირად ეს შესაძლოა გაგრძელდეს რამოდენიმე თვით ან შესაძლოა წელიწადზე მეტიც კი გავიდეს განცხადების სასამართლოში შესვლიდან საქმეზე საბოლოოდ არსებითი გადაწყვეტილების მიღებამდე, ამან კი შესაძლოა ისეთი ზიანი მიაყენოს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ინტერესებს, რომ მომავალში ვერ იქნეს კომპენსირებული. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა საკითხის რეგულირებისათვის შემოიტანა დროებითი მხარდაჭერის დაწესების ინსტიტუტი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად განცხადების შეტანის შემდგომ და სასამართლოში საქმის წარმოების დაწყებისას „სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმის წარმოების დასრულებამდე დანიშნოს დროებითი მხარდამჭერი, თუ მიიჩნევს, რომ იმ, პირს რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება შესაძლებელია შეუქცევადი ზიანი მიადგეს, ამასთანავე დროებით მხარდამჭერად შესაძლებელია დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ახლობელი, ნათესავი ან სპეციალისტი.“[33]

„კანონმდებელმა სასამართლოს განუსაზღვრა 5 დღიანი ვადა დროებითი მხარდაჭერის დასანიშნად. ამ საკითხს სასამართლო იხილავს ზეპირი მოსმენით, თუმცა მხარის გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საკითხის განხილვას და გადაწყვეტას. სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრება შეუძლია განმცხადებელს და საქმეში ჩართულ დაინტერესებულ პირებს კერძო საჩივრით. “[34]

---

[33] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[17] . ნ.1.2.
[34] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[17].ნ.3.4.

დროებითი მხარდაჭერის განხილვისას სასამართლო ისმენს განმცხადებლის ახსნა-განმარტებას, რომელმაც უნდა განმარტოს რა გარემოებებმა განაპირობა განცხადების შემოტანა და რა შეუქცევადი ზიანი მიადგება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს თუ მას დროებითი მხარდამჭერი არ ეყოლება საქმის არსებითად განხილვა-გადაწყვეტამდე. განმცხადებლის პოზიციის დაფიქსირების შემდგომ სასამართლო ისმენს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს (სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთადახმარების სააგენტოს) წარმომადგენლის და მხარდაჭერის მიმღებ პირად საცნობის ადვოკატის მოსაზრებებს საქმესთან დაკავშირებით, რის შემდეგაც გამოაქვს განჩინება დროებითი მხარდაჭერის დანიშვნის ან დროებითი მხარდაჭერის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.

„დროებითი მხარდამჭერი ინიშნება ძირითადად ისეთ სფეროებში, რომელიც აუცილებელია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის უფლებების და საჭიროებების რეალიზაციისათვის. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დროებითი მხარდაჭერის სფეროებს თავდაპირველად განსაზღვრავს განმცხადებელი (სავარაუდო მხარდამჭერი), რომელიც სასამართლოს წინაშე აკეთებს ახსნა-განმარტებას, რისთვის ესაჭიროება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს დროებითი მხარდაჭერა.“[35]

2.4 მხარდაჭერის მიმღები პირების სამართლებრივი დაცვა სახელმწიფოს ხარჯზე.

მხარდაჭერის მიმღებ პირად და მხარდამჭერის დანიშვნის საქმის განხილვისას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[19]-ე მუხლის თანახმად: „პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, უნდა ჰყავდეს ადვოკატი.“[36] ადვოკატმა უნდა დაიცვას ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის უფლებები და ინტერესები

[35] იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები ნაშრომის ბოლოს.
[36] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[19] .

სწორედ ამიტომ კანონმდებლობა ითვალისწინებს და იმპერატიულად ადგენს ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობას სასამართლო პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ადვოკატის სავალდებულო მონაწილეობა საქმის განხილვაში უზრუნველყოფილია თვითონ სახელმწიფოს მიერ, სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების ადვოკატების მეშვეობით.

„იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობას ადმინისტრაციული წარმოებისას და სამართლებრივ კონსულტაციას.“[37]

„საზოგადოებრივი ადვოკატის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებში ჩართვას უზრუნველყოფს იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი: ა) უშუალოდ იმ პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე, რომელიც ითხოვს იურიდიულ დახმარებას; ბ) სასამართლოს დასაბუთებული განჩინების საფუძველზე. იურიდიული დახმარების ბიურო, მიმწოდებელი ან საკონსულტაციო ცენტრი დაუყოვნებლივ განიხილავს პირის მიმართვას სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, არკვევს, აკმაყოფილებს თუ არა იგი ამ კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ კრიტერიუმებს, და 2 სამუშაო დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოებრივი ადვოკატის დანიშვნის ან მის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ. იურიდიული დახმარების სამსახური ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება ადვოკატის სახელმწიფოს ხარჯზე დანიშვნის შესახებ.“[38]

---

[37] საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“, მუხ.4[3].

[38] საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“ , მუხ.21.ნ.2[1].3.

საზოგადოებრივი ადვოკატი უზრუნველყოფს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების ინტერესების დაცვას მთელი სასამართლო პროცესის განმავლობაში საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე.

2.5 ექსპერტიზის ჩატარება და საქმის წარმოების შეჩერება

სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობის და მხარდამჭერის დანიშვნის საქმის წარმოებაში მიღებისას სასამართლო ნიშნავს ფსიქოსოციალური საჭიროებისმქონე პირის ინდივიდუალური შესაფებისათვის სასამართლო ექსპერტიზას. ექსპერტიზის ჩატარება ევალება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს.

„ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზა არის დისციპლინათაშორისი საქმიანობა, რომელიც მოიცავს სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციის და სხვა ასპექტების შეფასებას. ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა, მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და, აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა.“[39]

ექსპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფენ შესაბამისი სპეციალიზაციის და სამუშაო გამოცდილების მქონე ექსპერტები, „ბიუროში ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩასატარებლად იქმნება მულტიდისციპლინური ჯგუფი 4 წევრის შემადგენლობით. ამ ჯგუფში შედიან ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი და ოკუპაციური თერაპევტი (ან პირი, რომელიც ფიზიკური, გონებრივი ან სოციალური თვალსაზრისით

[39] საქართველოს კანონი, ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მუხ. 4.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს შერჩეული სპეციფიკური აქტივობების საშუალებით მკურნალობს).“[40]

,,მულტიდისციპლინური ჯგუფის თითოეულმა წევრმა დამოუკიდებლად უნდა შეაფასოს სასამართლოს მოთხოვნით განსაზღვრულ სფეროში, პირის მიერ გადაწყვეტილების მხარდაჭერის გარეშე მიღების შესაძლებლობა.“ [41]

მთელი ექსპერტიზის ჩატარების განმავლობაში მის ჩამტარებელ თითოეულ ექსპერტს აქვს ვალდებულება: „ა) დაადგინოს პირის ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხი; ბ) დაადგინოს პირის მოქმედებების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შეზღუდვის ხარისხი; გ) შეაფასოს პირის გარემოსთან ურთიერთქმედება; დ) დაადგინოს პირის სოციალური ადაპტაციის ხარისხი; ე) შეაფასოს პირის მდგომარეობის გაუმჯობესების/გაუარესების შესაძლებლობა; ვ) უპასუხოს სასამართლოს მიმართვაში დასმულ კითხვებს;

ზ) დაადგინოს პირის იმ სფეროში მხარდაჭერის აუცილებლობა, რომელიც აღნიშნულია განცხადებაში; თ) თუ ექსპერტიზის ჩატარების შედეგად დადგინდება, რომ აუცილებელია პირის მხარდაჭერა სხვა სფეროში, გარდა განცხადებაში აღნიშნულისა, მიუთითოს შესაბამისი სფერო; ი) გამოიკვლიოს და დაადგინოს სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია სრულფასოვანი ექსპერტიზის ჩასატარებლად.“[42]

რაც შეეხება ექსპერტიზის ჩატარების ადგილს, ის განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაკვლევი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე. „ექსპერტიზა შეიძლება ჩატარდეს

---

[40] საქართველოს კანონი, ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მუხ.7.

[41] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, 21.

[42] საქართველოს კანონი, ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“, მუხ.10. ნ.2.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის საცხოვრებელ ადგილზე, სამკურნალო დაწესებულებაში ექსპერტების ადგილზე მისვლით და ასევე შესაძლებელია ჩატარდეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი თუ შეძლებს ადგილზე გამოცხადებას."[43]

„ექსპერტიზის ჩატარების შემდგომ მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრები ცალ-ცალკე საერთო დასკვნის სახით გასცემენ დადებით ან უარყოფით დასკვნას." [44]ამასთანავე დადებითი დასკვნა არის პირისათვის მხარდაჭერის დაწესების საფუძველი ხოლო უარყოფითი დასკვნით არ კმაყოფილდება განმცხადებლის მოთხოვნა და საქმის წარმოება წყდება. ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა ადგენს, რომ პირი არ არის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე და რომ მას არ სჭირდება მხარდამჭერის დანიშვნა ცხოვრების არცერთ სფეროში.

2.6 სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება და მისი გასაჩივრების წესი.

„საქმის სასამართლოში მთავარ სხდომაზე განხილვისას ხდება განმცხადებლის ახსნა-განმარტების მოსმენა, სასამართლო პროცესზე იკითხებიან მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრები (ექსპერტები) მათ მიერ მომზადებული ექსპერტიზის დასკვნასთან დაკავშირებით, მოსამართლე სასამართლო პროცესის განმავლობაში ცდილობს კომუნიკაცია ქონდეს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთან, ექსპერტების დაკითხვის შემდგომ პოზიციას აფიქსირებს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენელი და მხარდასაჭერი პირის ადვოკატი. სასამართლო საქმეში არსებული

[43] საქართველოს კანონი, ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ", მუხ. 12.
[44] საქართველოს კანონი, ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ", მ.3.

მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა - განმარტების შესაბამისად იღებს გადაწყვეტილებას.“[45]

„სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა წარმოადგენს ამ პირისათვის მხარდამჭერის დანიშვნის საფუძველს.“[46]

„მხარდამჭერის არჩევისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას.“ [47]

„კანონმდებელი სასამართლოს ავალდებულებს, რომ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში მიუთითოს ის უფლება, რომლის სარგებლობისთვისაც პირს უწესდება მხარდაჭერა და ის სფერო (სფეროები), რომელ სფეროშიც სჭირდება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს მხარდამჭერი, სასამართლო გადაწყვეტილებაში ასევე უნდა იყოს მითითებული მხარდამჭერის(მხარდამჭერების) უფლება – მოვალეობები, მხარდამჭერის მიერ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის ანგარიშის წარდგენის პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს, მხარდაჭერის გადასინჯვის ვადა და მისი პერიოდულობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს, პირის მხარდაჭერისთვის აუცილებელი სხვა გარემოებები.“[48]

„იმ შემთხვევაში თუ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნა დადებითია მხარდაჭერის მიმღებს დაენიშნება მხარდამჭერი, ხოლო უარყოფითი ექსპერტიზის დასკვნის

---

[45] იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები ნაშრომის ბოლოს.
[46] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[21].ნ.1.
[47] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.1280. ნ.3.
[48] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363[21].ნ.2.

შემთხვევაში სასამართლო წყვეტს საქმის წარმოებას და ადგენს, რომ პირს მხარდაჭერა არ სჭირდება.“[49]

„სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში ეთითება, რა მოცულობით ესაჭიროება პირს მხარდამჭერი თავისი უფლება - მოვალეობების განსახორციელებლად, ნების სრული ჩანაცვლებით, თუ მის გარეშე. ამასთანავე ნების სრული ჩანაცვლება გულისხმობს, რომ სასამართლოს მიერ განსახღვრულ სფეროში მხარდამჭერს ენიჭება მხარდამჭერის მიმღებისაგან დამოუკიდებლად და მისი ინტერესების შესაბამისად დამოუკიდებლად განახორციელოს ის მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია მხარდაჭერის მიმღების ინტერესებისათვის. ნების სრული ჩანაცვლების გარეშე მხარდაჭერის დაწესება კონკრეტულ სფეროში გულისხმობს, რომ მხარდაჭერის მიმღებმა და მხარდამჭერმა ერთობლივად უნდა განახორციელონ ყველა მოქმედება, რომელიც აუცილებელია მხარდაჭერის მიმღების ინტერესებისათვის, სურვილებისათვის და ემსახურება მხარდაჭერის სფეროს რეალიზებას.“[50]

---

[49] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363[22].

[50] 1) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4693-18. 14.05.2018 წ.

2) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/22952-19. 16.04.2019 წ.

3) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/2623-19. 20.12.2019 წ.

4) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3416/2019. 10.03.2020 წ.

5) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/421-19. 26.03.2020წ.

6) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/9224-18. 30.07.2018წ.

7) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/3812/18. 20.12.2019წ.

8) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/1362/19. 20.12.2019წ.

10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/166/19. 24.02.2020წ.

11) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/744-19. 26.03.2020წ.

12) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/24175-18. 29.01.2019 წ.

სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას იძლევა მოქმედი კანონმდებლობა და მისი გასაჩივრება ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, კერძოდ: „გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის

---

13) გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/630-19. 27.12.2019წ.
14) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3892/2019წ. 10.03.2020 წ.
15) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/11819-16. 12.01.2018წ.
16) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3416/2019წ. 10.03.2020 წ.
17) თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე N 2ბ/1470-17. 06.07.2017წ.
18) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/2946/2019წ. 26.02.2020 წ.
19) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/7265-20, 03. 06.2021წ.
20) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/27125-20, 10. 06.2021წ.
21) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/15192-20, 10. 06.2021წ.
22) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/25870-20, 10. 06.2021წ.
23) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/2734-20, 03.07.2020წ.
24) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/29946-20, 01.07.2020წ.
25) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/31090-19, 12.03.2020წ.
26) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/8647-19, 25.02.2020წ.
27) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/1092-20, 07.02.2020წ.
28) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/30257-19, 25.06.2020წ.
29) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/30469-18, 26.07.2019წ.
30) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/3158-19, 18.06.2019წ.
31) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/5365-19, 26.11.2019წ.
32) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/5758-19, 02.09.2019წ.
33) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/1573-19, 26.09.2019წ.

დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან თოთხმეტი დღის ვადაში, ამ ვადის აღდგენა ან გაგრძელება დაუშვებელია.“[51] გადაწყვეტილების ჩაბარების ვადა და წესიც განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ: „თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი; წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.“[52]

მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში „სააპელაციო სასამართლო სააპელაციო საჩივრის შეტანიდან 5 დღის ვადაში ამოწმებს მის დასაშვებობას და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა; ბ) განსახილველად იღებს სააპელაციო საჩივარს. სააპელაციო საჩივარს სააპელაციო სასამართლო ზეპირი მოსმენით განიხილავს მისი განსახილველად მიღებიდან 2 თვის ვადაში და იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას: ა) მთლიანად ან ნაწილობრივ აკმაყოფილებს სააპელაციო საჩივარს; ბ) უარს ამბობს სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლო განჩინებაზე შეტანილი კერძო საჩივრის

[51] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.369. ნ.1.
[52] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.259[1]. ნ.1.

დაკმაყოფილების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოს უბრუნებს.“[53]

2.7. მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის, გადასინჯვის, გაუქმების, შეწყვეტისა და მხარდამჭერის ჩანაცვლების პროცედურა.

ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა შესაძლოა ნებისმიერ დროს შეიცვალოს, გაუმჯობესდეს ან პირიქით მოხდეს, სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა კანონმდებელმა მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესაძლებლობის განსაზღვრისას. დღეს მოქმედი რედაქციით: „თუ არსებობს პირისათვის მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის საფუძველი, სასამართლოს მხარდაჭერის მიმღების, მისი ოჯახის წევრის, მხარდამჭერის (მხარდამჭერების), ფსიქიატრიულ - სამკურნალო დაწესებულების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადებისა და „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება ამ პირისათვის მხარდაჭერის ფარგლების შეცვლის შესახებ.“[54]

მხარდაჭერის ფარგლების შეცვლაში მოიაზრება, როგორც მხარდაჭერის ფარგლების გაზრდა ასევე მისი შემცირება, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს და განხორციელდეს სასამართლოს მიერ პირის ინდივიდუალური შეფასებისას.

„მხარდაჭერის გადასინჯვის ვადა და მისი პერიოდულობა, არ უნდა აღემატებოდეს 5 წელს,“[55] ხუთი წლის გასვლის შემდგომ ხელახლა ხდება განცხადების შეტანა სასამართლოში და ხელახლა ხდება იმ ეტაპების გავლა,

---

[53] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[24].
[54] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[23].
[55] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[21].ნ.2.

რომელიც აუცილებელია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობისათვის.

მხარადჭერის გაუქმება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც აღარ არსებობს ის მიზეზი ან საფუძველი, რის გამოც პირს მხარდაჭერა დაუწესდა, მაგ: შეიცვალა პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მას აღარ ესაჭიროება დახმარება ასეთ შემთხვევაში „სასამართლოს მხარდაჭერის მიმღების, მისი ოჯახის წევრის, მხარდამჭერის, ფსიქიატრიულ-სამკურნალო დაწესებულების, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს განცხადებისა და „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გამოაქვს გადაწყვეტილება ამ პირისათვის მხარდაჭერის გაუქმების შესახებ.“[56]

„მხარდაჭერის შეწყვეტის წინაპირობებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კერძოდ მხარდაჭერის შეწყვეტის საფუძვლებია: 1) თუ მხარდაჭერის მიმღები გარდაიცვალა და 2) თუ აღარ არსებობს ის მიზეზი, რის გამოც პირს დაუწესდა მხარდაჭერა. ამასთანავე მხარდაჭერის მიმღები პირის გარდაცვალების შემთხვევაში მხარდაჭერის შეწყვეტას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, ხოლო, თუ აღარ არსებობს მიზეზი რის გამოც მხარდაჭერა დაუწესდა პირს, ამ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.“[57]

„შესაძლოა მოხდეს, ისე, რომ მხარდაჭერის მიმღებს აღარ სურდეს სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერის დახმარება და ჰქონდეს სურვილი მხარდამჭერი თავისი მოვალეობებისაგან გაათავისუფლოს, ამ საკითხის გადასაწყვეტად კანონმდებელმა მხარდაჭერის მიმღებს უფლება მისცა თავად მიმართოს სასამართლოს, ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას

[56] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ.363[23].ნ.2.
[57] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1304[1].

და მისი მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს (რომელზედაც ვრცელდება მხარდამჭერისთვის კანონით დადგენილი უფლებები და მოვალეობები).“[58]

2.8 მხარდამჭერის ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია მხარდაჭერის ინსტიტუტის სრულფასოვნად ფუნქციონირების საქმეში, ვინაიდან „მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.“[59]

„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ამოწმებს მხარდამჭერს იმ ფარგლებში და იმ პერიოდულობით რომელიც დადგენილია სასამართლო გადაწყვეტილებით და მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მხარდამჭერი უნდა შეამოწმოს ექვსთვიანი პერიოდულობით, ასევე თუ სასამართლო გადაწყვეტილებაშია მითითებული გადამოწმების სხვა ვადა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ვალდებულია შეასრულოს სასამართლოს ეს მითითება.“[60]

სწორედ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ეს საკანონმდებლო ვალდებულება განაპირობებს მხარდამჭერი პირის პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას მეურვეობისა და

---

[58] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1301.
[59] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.1305[1].ნ.2
[60] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.. 1305[1].ნ.3. მუხ.1305[2].

მზრუნველობის ორგანოს წინაშე, მხარდამჭერის პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს:“ თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში. მხარდამჭერი აგრეთვე ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.“[61]

„მეურვეობისა და მზერუნველობის ორგანომ განხორციელებული მონიტორინგის გარგლებში შესაძლოა დაადგინოს, რომ მხარდამჭერი არ ასრულებს მისთვის კანონმდებლობით ან სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ვალდებულებებს, ასეთ შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გამოაქვს უარყოფითი დასკვნა და იქცევა შემდეგნაირად: ა) თუ მეურვის/მზრუნველის/მხარდამჭერის მოქმედებების ინტენსივობა ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის არასაკმარისია: ა.ა) სოციალური მუშაკის მეშვეობით ეხმარება მეურვეს/მზრუნველს/მხარდამჭერს, რათა მან უკეთ გააცნობიეროს და შეასრულოს თავისი მოვალეობები; ა.ბ) თავისი მოვალეობისაგან ათავისუფლებს მეურვეს/მზრუნველს; ა.გ) მიმართავს სასამართლოს მხარდამჭერის თავისი მოვალეობისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე მხარდამჭერს უჩერებს უფლებამოსილებას და მისი

[61] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.. 1289.6.2.

მოვალეობების შესრულებას აკისრებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სპეციალურად უფლებამოსილ პირს.“[62]

მხარდამჭერის შესაბამისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობას განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომლის თანახმადაც: ,,მხარდამჭერის მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის გამო. აღნიშნული მუხლი სანქციად ჯარიმის სახით, ითვალისწინებს 100-დან 300 ლარამდე თანხა“[63]

მხარდამჭერის მიერ მხარდაჭერის მიმღები პირის მიმართ განხორციელებული მოქმედებები ან უმოქმედობა შესაძლოა სულაც სცდებოდეს სამოქალაქო სამართლებრივ და ადმინისტრაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას და შესაძლოა იკვეთებოდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები, ამ შემთხვევაში მხარდამჭერს შესაძლოა დაეკისროს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

[62] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1305[5].
[63] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 172[7].

თავი 3. მხარდაჭერის მიმღების ცალკეული უფლებები და მათი განხორციელების პრობლემები. ევროპის ქვეყნის მიდგომები.

3.1 სამოქალაქო გარიგების დადების უფლება და სამართლებრივი შესაძლებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „ამა თუ იმ ფსიქიკური დაავადებით გამოწვეული უუნარობა ცალკეული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას სრული მოცულობით შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან უხელმძღვანელოს მათ, ყოველთვის არ გულისხმობს, რომ პირს არ შესწევს უნარი, მიიღოს გათვითცნობიერებული გადაწყვეტილებები სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში და განახორციელოს იურიდიული შედეგების მატარებელი ქმედებები, კერძოდ, პირადი გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგებები, რომლებიც არ ხელყოფს სხვა პირთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. ასევე, ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ მსუბუქი ხარისხის დაავადებების მქონე პირებს სრულფასოვნად შეუძლიათ მარტივი გარიგებების დადებისას საკუთარი ნება ინფორმირებულად და თავისუფლად გამოავლინონ. საქმის განხილვისას მოქმედი კანონმდებლობა, ქმედუნარიანობის საკითხის გადაწყვეტისას არ ითვალისწინებდა დაავადების ხარისხიდან გამომდინარე სამოქალაქოსამართლებრივი შედეგების

დიფერენცირების შესაძლებლობას (გარდა ალკოჰოლური და ნარკოდამოკიდებული პირების შემთხვევისა). კანონმდებლობა განასხვავებდა მხოლოდ სრულ ქმედუნარიანობას და სრულ ქმედუუნარობას. „ჭკუასუსტობის“ და „სულით ავადმყოფობის“ გამო ქმედუუნაროდ აღიარებულ პირებთან მიმართებით იგი არ ითვალისწინებდა მომიჯნავე ვითარებას. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირს ფსიქიკური დაავადების მიუხედავად, შენარჩუნებული აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი სოციალური ცხოვრების ცალკეულ სფეროებში, რომელიც მიმართულია საკუთარი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ, შეესაბამება მის ინტერესებს და არ ხელყოფს ვინმეს უფლება - ინტერესებს, კანონმდებლობა არ იძლეოდა პირის ნების გამოვლენასთან დაკავშირებით დიფერენცირებული მიდგომის შესაძლებლობას, რომელიც იქნებოდა სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ინტელექტუალური და ნებელობითი უნარების ფაქტობრივი დაქვეითების ხარისხის თანაზომიერი.“[64]

მხარადაჭერის ინსტიტუტის შემოღებამ ფსიქოსოციალური სჭიროების მქონე პირებს უფლება მისცა თავისუფლად დადონ გარიგებები და თავისუფლად განახორციელონ ის უფლება - მოვალეობები, რისი სარგებლობის შესაძლებლობას მათ მოქმედი კანონმდებლობა აძლევს, მათი შესაძლებლობის ფარგლებში.

„საერთაშორისო სამართლის რიგი უმნიშვნელოვანესი წყაროები (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ასევე რეგიონალური მნიშვნელობის - კერძოდ ევროპის საბჭოს ფარგლებში მოქმედი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი - ადამიანის უფლებათა და ძირითად

[64] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია), განსაზღვრავენ რა ადამიანის ძირითად უფლებებს, ადგენენ მათი დაცვის გარანტიებსა და ასეთი დაცვის განხორციელების საზედამხედველო მექანიზმებს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია აწესებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებების და ძირითად თავისუფლებათა სრული რეალიზებისათვის ხელშეწყობას, კანონის ძალით და კანონის წინაშე ყოველი პიროვნების თანასწორობას, უფლებაუნარიანობას სხვებთან თანასწორად ცხოვრების სფეროში, უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი საკუთრებით ფლობდეს ნივთს, მიიღოს მემკვიდრეობა და არ მოხდეს ამ პირის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა. საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის და თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას. სოციალური დახმარების, მკურნალობის და ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომი უმაღლესი სტანდარტებით სარგებლობის უფლებას.“[65]

„მხარდაჭერის მიმღებისათვის მინიჭებული გარიგების დადების უფლებაშიც შესაძლებელია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი დახმარებას და სათანადო რჩევა - დარიგებას საჭიროებდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამიტომ სასამართლო გადაწყვეტილებებში ეთითება, რომ პირს მხარდაჭერა უწესდება წვრილმანი გარიგების დადების, უძრავი ნივთის მართვა - განკარგვის სფეროში და ა. შ.

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს აქვს უფლება პირის ინდივიდუალური საჭიროებების, მოთხოვნილებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით მხარდაჭერის მიმღებს დაუნიშნოს მხარდაჭერა კონკრეტული გარიგების დადებისას.“

გარიგებაუნარიანობა და შესაბამისად გარიგების დადების შესაძლებლობა პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის

[65] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/22952-19. 16.04.2019 წ.

ერთგვარი ინდიკატორია, სწორედ ამიტომ საკანონმდებლო ცვლილებებმა მხარდაჭერის მიმღებ პირებს მისცეს უფლება დამოუკიდებლად დადონ გარიგებები, გარდა იმ შემთხვევისა თუ მათ გარიგების დადებისას ესაჭიროებათ მხარდაჭერა.

3.2 მხარდაჭერის მიმღების შრომითი საქმიანობის უფლება.

შრომის უფლება, ის უფლებაა, რომლის რეალიზაცია მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული, სწორედ ამიტომ მსოფლიოს დემოკრატიული სახელმწიფოები ადგენენ საკანონმდებლო ჩარჩოებს, რომლითაც მაქსიმალურად გამოირიცხება შრომით საქმიანობაში განსხვავებული მიდგომა.

„საქართველოს შრომის კოდექსის თანახმად: "შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში, მათ შორის, ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას და შერჩევის ეტაპზე, აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი, მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი, კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით."[66]

„ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სხვა დამსაქმებლებთან შედარებით არათანაბარ პირობებში ჩაყენება და არათანაბარი მოპყრობის აკრძალვა მოცემულია შეზღუდული შესაძლებლობების პირთა პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ ILO-ს No. 159-ე კონვენციით (1983 წ.) და გაეროს შეზღუდული

[66] საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ.2.ნ.2

შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის (2006 წ) კონვენციით. გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილ და თანასწორ სარგებლობას და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას.“ [67]

“კონვენციით განმარტებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან ადამიანები ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომლებმაც სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელი შეუშალონ ამ პირთა სხვების თანასწორად სრულ და ეფექტიან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.“[68]

„ქმედუნარიანობის ახალი ინსტიტუტი, რომელიც ყველა პირს ქმედუნარიანად მიიჩნევს და მხარდაჭერის საჭიროების განსაზღვრისას, ადგენს ინდივიდუალური მიდგომის გამოყენების სავალდებულოობას, შრომის უფლებით სარგებლობის ნაწილში განსხვავებულად აწესრიგებს მხარდაჭერის მიმღები პირების უფლებრივ მდგომარეობას. ახალი რეგულაციის თანახმად, მხარდაჭერის მიმღები პირის სტატუსი, ერთი მხრივ, წარმოადგენს საჯარო სამსახურში დასაქმების ხელისშემშლელ გარემოებას და მეორე მხრივ, საჯარო მოხელეების, მათ შორის, ცალკეული პოლიტიკური

---

[67] თოდრია თ. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები,დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf. [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.21].

[68] თოდრია თ. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები,დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.21].

თანამდებობის პირების, საქმიანობის შეწყვეტის უპირობო და სავალდებულო საფუძველს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სასამართლომ აღნიშნული საკითხი განსხვავებულად მოაწესრიგა. საჯარო სფეროში დასაქმების მარეგულირებელი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, მხარდაჭერის მიმღები პირების კერძო სექტორში დასაქმებისათვის მსგავსი ბარიერები არ არის დადგენილი. ამ მხრივ, კანონის ენა ნეიტრალურია და შრომითი ურთიერთობის არცერთ ეტაპზე პოტენციური თუ დასაქმებული მხარდაჭერის მიმღები პირის მიმართ დამატებით მოთხოვნებსა და შეზღუდვებს არ ადგენს. შრომის ხელშეკრულების დადებისა და შეწყვეტის, მისი ნამდვილობის საკითხებზე ვრცელდება სამოქალაქო კოდექსის დებულებანი.“[69]

საჯარო სამსახურში მოქმედი ნორმები ერთი შეხედვით შაბლონურია, რომლის თანახმადაც პირს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება, თუ იგი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არის ცნობილი, გარდა იმ შემთხვევისა თუ სასამართლო გადაწყვეტილებით ეს საკითხი განსხვავებულად არ არის დარეგულირებული, კერძოდ: „საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის, საკრებულოს წევრის, მერის, უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა.“[70] „საქართველოს კანონი პატიმრობის კოდექსი, სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს წევრის თანამდებობიდან გათავისუფლების ერთ-ერთი საფუძველია სასამართლოს მიერ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა.“[71] „საქართველოს ორგანული კანონი სახალხო დამცველის შესახებ, განსაზღვრავს, რომ საქართველოს სახალხო დამცველს უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეუწყდება თუ მოხდება

[69] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, გვ.24.

[70] საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხ.43.1.გ, მუხ. 56.2.ე.

[71] საქართველოს კანონი, ,,პატიმრობის კოდექსი“, მუხ.41.5.ბ.

სასამართლოს მიერ მისი მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობა.“[72] „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი შეიცავს დანაწესს, რომლის მიხედვითაც საერთო სასამართლოების მოსამართლის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს წევრის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა.“[73] „ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია, მისი მხარდაჭერის მიმღებ პირად ცნობა.[74] საქართველოს კონსტიტუციის თანახმად: „პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს პარლამენტი. პარლამენტის ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საკონსტიტუციო სასამართლოში. პარლამენტის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ იგისასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.“[75]

„იმ პირობებში, როდესაც არსებობს პრეზუმფცია ქმედუნარიანობის სასარგებლოდ, არსებული კანონმდებლობა ბლანკეტურად ზღუდავს პირის უფლებას დაიკავოს კონკრეტული თანამდებობა, რაც წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-14, 28-ე და 29-ე მუხლების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის დარღვევას.“[76]

ჩვენს ქვეყანაში დღეს მოქმედი საკანონმდებლო აქტები ერთის მხრივ, სრულ ქმედუნარიანობას ანიჭებს მხარდაჭერის მიმღებ პირებს, ხოლო მეორე

---

[72] საქართველოს ორგანული კანონი ,,სახალხო დამცველის შესახებ“, მუხ.10.1.დ.
[73] საქართველოს ორგანული კანონი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხ.43.1.დ, მუხ.48.1.გ.
[74] საქართველოს კანონი ,,ნოტარიატის შესახებ“, მუხ.18.2.გ.
[75] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 39, ნ.5.ე.
[76] საქართველოს სახალხო დამცველი, კვლევის ანგარიში, ქმედუნარიანობა-საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, თბილისი 2016, გვ. 45.

მხრივ განსაზღვრავს, რომ თუ პირი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებ პირად იქნება ცნობილი შესაძლოა იგი დაექვემდებაროს სამსახურიდან გათავისუფლებას, თუ სასამართლოს მიერ სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

3.3 მხარდაჭერის მიმღების დაქორწინების უფლება.

დაქორწინების და შესაბამისად ინდივიდებისათვის ოჯახის შექმნის უფლების მინიჭებით სახელმწიფო საზოგადოების ერთგვარ უჯრედს ქმის, რომელიც სახელმწიფოს ფუნქციონირების განმაპირობებელი ერთ -ერთი სტრუქტურაა. „დღეს მოქმედი საკანონმდებლო აქტების თანახმად ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც დაფუძნებულია მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობის პრინციპებზე.“[77] დაქორწინების უფლების მინიჭებამდე დაქორწინების მსურველმა პირმა გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს.

„ქმედუუნარობის ინსტიტუტის გაუქმებამდე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პირს ჩამორთმეული ჰქონდა დაქორწინების უფლება. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი არ უშვებდა არანაირ გამონაკლის შემთხვევას ამ საკითხთან მიმართებით. ქმედუუნაროდ აღიარებული პირის ქორწინებაში შეცდომით გატარების შემთხვევაშიც კი ასეთი ქორწინება აუცილებლად ბათილი იყო.“[78]

„ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია უფლებამოსილ ორგანოში. საქართველოს კანონმდებლობა ქორწინებას უკავშირებს განსაზღვრულ სამართლებრივ შედეგებს. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად,

---

[77] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლ.30, ნ.1.

[78] შენგელია რ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა“თბილისი“ 2000, გვ.53.

კანონით დადგენილი წესით, ქორწინების შედეგად წარმოიშობა გარკვეული ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და ვალდებულებები.“[79]

„ქმედუუნარობის ინსტიტუტის გაუქმებამდე ქმედუუნაროდ აღიარებული პირების პირადი და ოჯახური ცხოვრების მარეგულირებელი ნორმები ვერ უზრუნველყოფდა მათი მინიმალური რეალიზების გარანტიებსაც კი. პირისათვის სასამართლოს მიერ ქმედუუნარობის სტატუსის მინიჭება ავტომატურად იწვევდა მის გამორიცხვას ქორწინების უფლების განხორციელებისა და მშობლის უფლების რეალიზების შესაძლებლობისაგან. არსებული კანონმდებლობა მშობლის ქმედუუნაროდ ცნობას პირდაპირ უკავშირებდა შვილის გაშვილებისა და მინდობით აღზრდის პროცედურის დაწყებას.“[80]

„ქორწინება არ არის მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგება, რომლის დადებასაც უკავშირდება რიგი ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლება-მოვალეობების შეძენა. ქორწინება, რთული სოციალური ინსტიტუტია და არ შემოიფარგლება მხოლოდ კანონით გაწერილი სამართლებრივი შედეგებით. ქორწინების უფლება, პირველ რიგში, უკავშირდება „ოჯახის შექმნაზე“ ბუნებითი და ფუნდამენტური უფლების რეალიზაციას/დაცვას. ეს არის პირის უფლება მოიპოვოს ურთიერთობის სამართლებრივი სტატუსი და საზოგადოებრივი აღიარება. დადგენილი წესით ქორწინება არის სამართლებრივი საშუალება, რომ პირებმა სახელმწიფოსაგან და საზოგადოებისაგან მოიპოვონ მათი ურთიერთობის, როგორც ქორწინების ლეგიტიმაცია.“[81]

---

[79] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

[80] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბ. 2016,გვ.28.

[81] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

დღევანდელი მოქმედი რეგულაციით მხარდაჭერის მიმღებ პირებს უფლება აქვთ შექმნან ოჯახი და ოფიციალურად დაქორწინდნენ, ამასთანავე კანონმდებელმა განსხვავებული რეგულაცია დაადგინა იმ შემთხვევაში, თუ ერთ - ერთი მეუღლე მხარდაჭერის მიმღებია, კერძოდ: „საქორწინო ხელშეკრულება ქორწინების რეგისტრაციამდე უნდა დაიდოს, თუ ერთ-ერთი მეუღლე მაინც მხარდაჭერის მიმღებია. საქორწინო ხელშეკრულების დადების პროცესში აუცილებელია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, აგრეთვე მხარდამჭერის ჩაბმა იმ ნაწილში, რომელიც განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულების შესრულებისას მხარდამჭერის მიერ თავისი მოვალეობების განხორციელებაზე ზედამხედველობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს. მხარდაჭერის მიმღებთან დადებული საქორწინო ხელშეკრულება იმაზე მეტად არ უნდა ზღუდავდეს მის ქონებრივ უფლებებს, ვიდრე ეს განსაზღვრულია სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით. თუ საქორწინო ხელშეკრულება მხარდამჭერსა და მხარდაჭერის მიმღებს შორის იდება, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღებს მისი დადების პროცესში დროებით მხარდამჭერად მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირს უნიშნავს.“[82]

„ამასთანავე საქორწინო ხელშეკრულების არ დადება ქორწინების რეგისტრაციამდე, ქორწინების დამაბრკოლებელი ერთ -ერთი გარემოებაა.“[83] ამრიგად კანონმდებელმა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის დამატებით სავალდებულო რეგულაციის სახით განსაზღვრა, რომ ქორწინების რეგისტრაციამდე არის აუცილებელი საქორწინო ხელშეკრულების დადება, ვინაიდან არ მოხდეს მხარდაჭერის მიმღები პირების შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება მესამე პირების

[82] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.1172, ნ.2, ნ.3, ნ.4,ნ.5.
[83] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ.1120, ნ.1, ე

მიერ. ამ პროცესში კანონმდებლობით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიენიჭა ცენტრალური ფუნქცია - ერთგვარი საზედამხედველო - მაკონტროლებელი პირის ფუნქცია, ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა მთელი ქორწინების განმავლობაში.

3.4 მხარდაჭერის მიმღების საარჩევნო უფლება.

საარჩევნო უფლება იმ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება, რომლითაც ხდება მოქალაქის მიერ დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა, განვითარება და თვით დემოკრატიის თვითრეალიზაცია. ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში მოქალაქეებისათვის საარჩევნო უფლებების რეალიზაციის საკითხები პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხთან და საარჩევნო უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა და პირდაპირი ინდიკატორია ქვეყანაში არსებული დემოკრატიის ხარისხის.

,,ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმამდე მოქმედი კანონმდებლობა გამორიცხავდა ქმედუუნარო პირების მხრიდან აქტიური თუ პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობას, რაც პირდაპირ ქმედუუნარობის სტატუსს უკავშირდებოდა და საარჩევნო უფლების ბლანკეტურ შეზღუდვას წარმოადგენდა.“[84]

„საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბრის გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა ამ მიმართულებით ცვლილებების განხორციელებას და უკვე დღეს მოქმედი საკანონმდებლო რედაქციით არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხარდაჭერის მიმღებად ცნობილ პირებს, მათ ეს უფლება მინიჭებული აქვთ არჩევნებში, რეფერენდუმში ან პლებისციტში მონაწილეობის საყოველთაო უფლების მინიჭების პრინციპით. ამასთანავე

[84] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, გვ.26.

საქართველოს კონსტიტუციაში და ორგანული კანონით საქართველოს საარჩევნო კოდექსით მხარდაჭერის მიმღებ პირს უფლება არ აქვს მიიღოს არჩევნებში და რეფერენდუმში თუ ეს პირი მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში. კონკრეტულად ეს შეზღუდვა ერთგვარად წინააღმდეგობაში მოდის გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციასთან თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მხარდაღერის მიმღებად ცნობილი პირებისათვის და საარჩევნო უფლების მინიჭება წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი კანონმდებლობის[85]

„მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში არ არის ყურადღება გამახვილებული საარჩევნო უფლების რეალიზაციის განხორციელების მიზნით მხარდამჭერის დანიშვნისას, იმ პირობებში, როდესაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს მისი დიაგნოზიდან გამომდინარე ექსპერტიზის დასკვნაში პირდაპირ უწერია, რომ მას არ შეუძლია ნების გამოხატვა არცერთ ცხოვრებისეულ სფეროში.“[86]

მხარდაჭერის მიმღები პირების მიერ საარჩევნო უფლების უკეთ რეალიზაციის განხორციელების მიმართულებით პირველ რიგში სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული აქტივობების და სამუშაოების ჩატარებაა აუცილებელი, მაგალითად საინფორმაციო კამპანიების, რომლითაც მხარდამჭერი და მხარდასაჭერი პირებიც უკეთესად იქნებიან ინფორმირებულნი საარჩევნო უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

---

[85] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ.24.2; ორგანული კანონი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მ.3.ა.გ.

[86] იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები ნაშრომის ბოლოს.

3.5 მხარდაჭერის მიმღების უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

„ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა, გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ,,ვინაიდან ქმედუუნაროდ აღიარებულ პირს არ გააჩნია ქმედუნარიანობის აღდგენის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, იგი ხდება სრული მოცულობით დამოკიდებული დაინტერესებული პირების ნებაზე, რომელიც შეიძლება იყოს მეურვე ან ოჯახის წევრი, ან შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების წარმომადგენელი. ქმედუუნარო პირის უფლება სასამართლოს ხელმისაწვდომობაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული მეურვის, ოჯახის წევრების ან/და ფსიქიატრიული-სამკურნალო სამედიცინო დაწესებულების ნებაზე. მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სასამართლოსადმი მიმართვის, არამედ სასამართლოსათვის საკუთარი არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობასაც.“[87]

„ჩვენს ქვეყანაში სასამართლოსათვის მიმართვის და სამართლიანი სასამართლოს უფლებებით (ასევე სხვა საპროცესო უფლებები) სარგებლობა განმტკიცებულია ქვეყნის შიდა კანონმდებლობით და ასევე საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით. ყოველ ადამიანს აქვს უფლება საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს და ისარგებლოს სამართლიანი სასამართლოს უფლებით.“[88]

„სახელმწიფო ერთის მხრივ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასამართლოსთვის მიმართვის უფლებით,

---

[87] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

[88] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 31; გაეროს ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, (მიღებულია 2006 წლის 13 დეკემბერს, ძალაშია 2008 წლის 3 მაისიდან), მ.13.

ხოლო მეორეს მხრივ უწესებს შეღავათებს შშმ პირებს სასამართლოში საქმის წარმოებისას, რომლის მიხედვითაც საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათი დაწესებულებები, სასწავლო-საწარმოო ორგანიზაციები და გაერთიანებები – ყველა სარჩელზე."[89]

„შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების უკეთ რეალიზაციისათვის უფლება და შესაძლებლობა აქვთ მიიღონ უფასოდ საადვოკატო-იურიდიული მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე, ამ მიზნით იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს: 1. საზოგადოებრივი ადვოკატების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას სასამართლოში სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის, წარმომადგენლობას ადმინისტრაციული წარმოებისას და სამართლებრივ კონსულტაციას; 2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ტერიტორიული ერთეულის სავალდებულო ხელმისაწვდომობას, რაც გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის მომსახურებისა და შენობა-ნაგებობების შიდა და გარე ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას; 3. კადრების გადამზადებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობისთვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით."[90]

ქმედუუნარობის ინსტიტუტის გაუქმებამ და მხარდაჭერის ინსტიტუტის შემოღებამ შესაძლებლობა მისცა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს შესაძლებლობის ფარგლებში დამოუკიდებლად დაიცვან საკუთარი

[89] საქართველოს კანონი"სახელმწიფო ბაჟის შესახებ", მუხ. 5.1.მ.
[90] საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ", მუხ.4[3].

უფლებები ასევე მოახდინონ სასამართლოში სტრატეგიული სამართალწარმოება მხარდამჭერის დახმარებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და შესაბამისად ხელმისაწვდომობა მართმსაჯულებაზე უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის. უშუალოდ რა მოცულობით შესძლებენ ისინი ამ უფლების რეალიზაციას დამოკიდებულია ეს ერთის მხრივ ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირების შესაძლებლობაზე, ხოლო მეორეს მხრივ მათ საჭიროებებზე.

3.7 ევროპის ქვეყნების მიდგომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით.

„ევროპის წამყვან ქვეყნებში ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირებს უფლებების რეალიზაციის მიზნით ენიშნებათ მეურვე კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე და არა სრული მოცულობით ყველა ცხოვრებისეულ სფეროში, გამონაკლისი არის მხოლოდ რუმინეთი და ირლანდია, სადაც ხდება პირის ქმედუნარიანობის შეზღუდვა სრული მოცულობით.“[91]

„ავსტრიაში პირველ ქმედუნარიანობის შეზღუდვის საქმის დასაწყებად აუცილებელია პირველ რიგში განცხადების შეტანა სასამართლოში, განმცხადებელი შესაძლოა იყოს თავად ის პირი, რომელიც საჭიროებს მეურვის დანიშვნას ან სხვა დაინტერესებული პირი, რომელიც ფიქრობს რომ კონკრეტულ პირს მეურვის დანიშვნა სჭირდება. განცხადების შეტანის შემდგომ უკავშირდებიან ამ პირს და სასამართლოში იბარებენ ამასთანავე უმარტავენ საქმის პროცედურას, თუ ეს პირი არ გამოცხადდება სასამართლოში ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე

[91] კუპატაძე თ., ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია, თსუ - კონფერენცია, N1 სპეციალური გამოცემა, 2016, გვ.44-45.

მოსამართლე სახლში აკითხავს და ისმენს შშმ პირის პოზიციას ამ საკითხთან დაკავშირებით, თუ უსაფუძვლოდ უარს აცხადებს სასამართლოში გამოცხადებაში ასეთ შემთხვევაში ტარდება შესაბამისი პროცედურები მის მისაყვანად მოსამართლესთან. საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად. გადაწყვეტილებით საჭიროების შემთხვევაში შშმ პირს ენიშნება მეურვე კონკრეტული საკითხებთან მიმართებით მაგ: გარიგების დადების საკითხთან, საარჩევნო საკითხთან, გადაადგილების საკითხთან და ა. შ.[92]

„2007 წელს პოლონეთის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა რომ შშმ პირების უფლებები სახელმწიფომ უფრო მეტად უნდა დაიცვას და ამ უფლებების დაცვისას გაითვალისწინოს მათი შესაძლებლობები. ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შშმ პირებს არ უნდა ჩამოერთვათ ყოველი სახის უფლება და კანონი მათ მიმართ უნდა იყოს უფრო ჰუმანური, სწორედ ამ გადაწყვეტილებამ განაპირობა პოლონეთში შშმ პირების უფლებების ფართო გაზრდა და მათი ინდივიდუალური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასების შემდგომ მეურვის დანიშვნა გარკვეულ საკითხებში. 2010 წლის 27 დეკემბერს ლატვიის საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსი შშმ პირებთან მიმართებით არ შეესაბამებოდა ქვეყნის კონსტიტუციას და რომ იგი გაუმართლებლად ზღუდავდა შშმ პირების უფლებებს და გაუმართლებლად იჭრებოდა შშმ პირების პირად ცხოვრებაში. ამ გადაწყვეტილების შემდგომ ლატვიამ 2012 წლიდან დაიწყო ყველა იმ სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვა, რაც მანამდე იყო მიღებული პირის ქმედუუნარობასთან დაკავშირებით.“ [93]

---

[92] Georges j. Legal capacity and proxy decision making < https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Austria>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].

[93] Kjaerum M. Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems < https://fra.europa.eu/sites/default/files/legal-capacity-intellectual-disabilities-mental-health-problems.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].

„ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად პირს დამხმარე (მენტორი) ერთ შემთხვევაში ენიშნება ფინანსური საკითხებთან დაკავშირებული პროცედურების საწარმოებლად, მეორე შემთხვევაში ჯანმრთელობისა და მკურნალობის საკითხების მოსაგვარებლად და მესამე შემთხვევა ითვალისწინებს სრულ მეურვეობას როგორც ფინანსური,ისე ჯანმრთელობის, ქონების და სხვა საკითხებთან მიმართებით საქმის საქარმოებლად.“[94]

„გერმანიის სამოქალაქო კოდექსის თანახმად შშმ პირს მეურვე შეიძლება დაენიშნოს თავისი განცხადებით ან სასამართლოს ინიციატივით 7 წლის ვადით, ამასთანავე მეურვე ინიშნება კონკრეტულად იმ საკითხების საწარმოებლად, რისი განხორციელების შესაძლებლობაც არ აქვს შშმ პირს. მეურვის დანიშვნის წინაპირობაა თუ ზრდასრული ადამინი ვერ ახერხებს გონებრივი შეზღუდვის ან ფსიქიკური დაავადების გამო საკუთარი საქმეების გაძღოლას. მეურვის დანიშვნის საფუძველია ფსიქიატრის დასკვნა, რომელიც უთითებს რა მოცულობით შეიძლება შეეზღუდოს პირს ქმედუნარიანობა და რა დაავადების გამო არ შეუძლია შშმ პირს თავისი უფლებების განხორციელება. სასამართლო პროცესზე ასევე ისმენენ ოჯახის წევრების ან ახლობლების მოსაზრებებს ამ საკითხთან მიმართებით. მეურვეს არის წარმომადგენელი სამეურვეო პირის და მას შეუძლია მოითხოვოს იმ ვალდებულებების შესრულება, რისი მოთხოვნის უფლებაც აქვს შშმ პირს. [95]

„შვედეთში თუ პირს არ შეუძლია თავისი საქმეების მართვა ფსიქიკური ან ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სასამართლომ შეუძლია

---

[94] Kjaerum M. Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems < https://fra.europa.eu/sites/default/files/legal-capacity-intellectual-disabilities-mental-health-problems.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].

[95] 1. Georges j. Legal capacity and proxy decision making < https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Germany> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021]. 2. კროპჰოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თარგმნა - დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., მეცამეტე გადამუშავებული გამოცემა, წიგნის ბეჭდვა უზრუნველყო საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა GIZ-ის დავალებით, თბ. 2014 , 928 p.

დაუნიშნოს მას მენტორი (კურატორი) ან რწმუნებული(მეურვე). კურატორის დანიშვნის შემთხვევაში პირს არ ეზღუდება ქმედუნარიანობა ხოლო მეურვე(რწმუნებულის) ინიშნება თუ პირს არ შეუძლია იზრუნოს თავის თავზე და თავის ქონებაზე. მეურვის (რწმუნებულის) დანიშვნის შემთხვევაში მეურვე სამეურვეო პირის სახელით იღებს ყველა გადაწყვეტილებას და ამ შემთხვევაში არ არის შშმ პირის თანხმობა აუცილებელი."[96]

„ინგლისის კანონმდებლობით სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე და გაუწიოს აუცილებელი მხარდაჭერა, რაც აუცილებელია შშმ პირების ქმედუნარიანობის განსახორციელებლად. შშმ პირს მეურვე ენიშნება თუ მას დამოუკიდებლად არ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება და საჭიროებს დახმარებას აუცილებელი მოქმედების შესასრულებლად. მეურვის დანიშვნის წინაპირობაა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ავადმყოფობა და მეურვის დანიშვნის მიზანი უნდა იყოს სამეურვეო პირის კეთილდღეობა. მეურვემ უნდა იზრუნოს სამეურვეო პირზე და ორ კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოინახულოს იგი. ამასთან ინგლისის კანონმდებლობა ადგენს რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში არსის შესაძლებელი სასამართლოსათვის მიმართვა, ესენია: თუ პირს არ შეუძლია თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ამასთან არ შეუძლია ა) გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ინფორმაციის გაგება, ბ) ამ ინფორმაციის შენარჩუნება, გ) გამოიყენოს ან შეაფასოს ეს ინფორმაცია, როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილი, ან დ) მოახდინოს თავისი გადაწყვეტილების კომუნიკაცია (იქნება ეს საუბარი, ჟესტების ენის გამოყენება ან რაიმე სხვა საშუალება)."[97]

---

[96] Kjaerum M. Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems < https://fra.europa.eu/sites/default/files/legal-capacity-intellectual-disabilities-mental-health-problems.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].

[97] 1. Georges j. Legal capacity and proxy decision making < https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/United-Kingdom-England> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021]. 2. Kjaerum M. Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems <

„საფრანგეთის კანონმდებლობა შშმ პირებისათვის განსაზღვრავს სამი სახის მეურვის (მზრუნველის) ინსტიტუტს, პირველი ესაა სასამართლო დაცვა, რომელიც ეხება პირს, რომელსაც დროებითი დაცვა სჭირდება ან რომელსაც გარკვეული მოქმედებისათვის სჭირდება წარმომადგენლობა, მეორე ესაა კურატორის დაცვა, როდესაც ადამიანი ბოლომდე ვერ ახორციელებს საკუთარ საქმეებს, მაგრამ მას დახმარება და ზედამხედველობა სჭირდება სამოქალაქო აქტების განხორციელებაში და მესამე ესაა ტუტორის (რეპეტიტორის) დაცვა, რომელიც განკარგავს სამეურვეო პირის ყოველდღიური ცხოვრების საკითხებს. საფრანგეთის კანონმდებლობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა დაცვის ზომების აუცილებლობა, სუბსიდიარობისა და პროპორციულობის პრინციპების დაცვით და მიანიჭა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს გარკვეულ უფლებამოსილება (მაგ. ხმის მიცემა, ზრდასრული პირის სავალდებულო მოსმენა).“[98]

საბოლოო შეჯამებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნები იყენებენ თითქმის მსგავს ინსტიტუტებს შშმ პირების უფლებების რეალიზაციის მიზნით. ამ მხრივ უკვე ქართული მხარდაჭერის ინსტიტუტიც მსგავსია ევროპის ქვეყნების შშმ პირების ინსტიტუტებისა. ყოველ ამ ინსტიტუტს აქვს მსგავსი დამახასიათებელი ნიშნები, ესენია მეურვის(მხარდამჭერის, მზრუნველის, კურატორის) ვადიანობა, მეურვის დანიშვნის წინაპირობები და სასამართლო წესით მათი დანიშვნა. შიდა პროცედურები განსხვავებულია და რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით.

---

https://fra.europa.eu/sites/default/files/legal-capacity-intellectual-disabilities-mental-health-problems.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].

[98] Georges j. Legal capacity and proxy decision making https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/France [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].

თავი 4. მხარდაჭერის ინსტიტუთთან დაკავშირებული პრობლემები.

4.1 მხარდაჭერის ინსტიტუტის საკანონმდებლო ხარვეზები.

დღეს მოქმედი მხარდაჭერის ინსტიტუტის არსებობა უდაოდ წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დროის გასვლასთან ერთად კანონმდებლობაც დინამიურად უნდა იცვლებოდეს და მაქსიმალურად უნდა იყოს მორგებული განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფებისათვის, როცორიცაა მაგალითად ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები ამასთანავე კანონმდებლობის დინამიურმა ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს ბუნდოვანება და გაურკვევლობა. კანონმდებლობის შეცვლის მიზანი კი უნდა იყოს იმ ხარვეზების აღმოფხვრა,რომელიც დაშვებულ იქნა ნორმის მიღებისას და საკითხის რეგულირებისას.

მხარდაჭერის ინსტიტუტის პირველი საკანონმდებლო ხარვეზი რაც არ გაითვალისწინა კანონმდებელმა ესაა, განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირების და მხარდამჭერი პირების იდენტურობა, კერძოდ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[14] მუხლის თანახმად: „პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შესახებ განცხადება სასამართლოში შეიძლება შეიტანოს ამ პირმა, მისი ოჯახის წევრმა, მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ, ფსიქიატრიულმა ან სპეციალიზებულმა დაწესებულებამ,“[99] ხოლო სამოქალაქო კოდექსის 1280-ე მუხლის თანახმად: „მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.“ [100] ამ ერთი შეხედვითაც კი ნათლად ჩანს საკანონმდებლო ხარვეზი, რომლის მიხედვითაც ახლობელი შესაძლოა იყოს ფსიქოსოციალური საჭიროების

[99] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363[14].ნ1.
[100] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 1280,ნ.2.

მქონე პირის მხარდამჭერი იმ პირობებში, როდესაც მას განცხადების შეტანის უფლებამოსილება არ აქვს.

საკანონმდებლო ხარვეზია ასევე ის, რომ არ არის საკანონმდებლო დონეზე გაწერილი იმ დოკუმენტაციის (თანდართული ცნობების) ჩამონათვალი, რაც უნდა დაერთოს სასამართლოში განცხადების შეტანას, ეს გარემოება გაურკვევლობას იწვევს იმ პირებს შორის, რომელიც აპირებენ განცხადების შეტანას და საქმის სასამართლოში წარმოებას.

„მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს მხარდამჭერის მიმღებ პირად ცნობას დამხარდამჭერის დანიშვნას არაუმეტეს 5 წლის ვადით,“ [101] იმ პირობებში, როდესაც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის დიაგნოზიდან გამომდინარე, მაგ. ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობის, დემენციის და ა. შ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება არ არის შესაძლებელი და ეს გარემოება დასტურდება ექსპერტიზის დასკვნით ყველა მხარდაჭერის საქმეზე პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და მხარდამჭერის დანიშვნა ხდება მაინც ხუთი წლის ვადით, მაშინ როდესაც კანონმდებელს შეუძლია განსაზღვროს უფრო მეტი ვადა ასეთ შემთხვევებში ან სასამართლოს მიანდოს ამ საკითხის გადაწყვეტაც, რომ პირის ინდივიდუალური ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე და ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად განისაზღვროს მხარდაჭერის უფრო მეტი ვადა, რაც აარიდებს ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირებს და მხარდამჭერებს ზედმეტი სასამართლო პროცესებში მონაწილეობას.

„დღეს მოქმედი რედაქციით, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმისწარმოება არ არის უდავო წარმოება. იგი დამოუკიდებელი არასასარჩელო წარმოების სახეა, რომელმაც გაითვალისწინა მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის პროცესში სავალდებულო მონაწილეობისა და სავალდებულო დაცვის გარანტიები. ეს, პროცესში მონაწილე პირების

[101] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 363[21].62.დ.

მიმართ საპროცესო უფლებების გავრცელების თვალსაზრისით, ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს. ამგვარი კრიტიკისას, მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინება რომ, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საქმის წარმოებამ შესაძლოა შინაარსობრივად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული შინაარსის წარმოების სახე მიიღოს. ერთი მხრივ, შესაძლოა სახეზე იყოს პირის გაცნობიერებული ნებისა და თანხმობის პირობებში, სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერის მიღების მიზნით განცხადებით დაწყებული წარმოება, რომელიც თავის თავში არ მოიცავს დავის ელემენტებს. ხოლო მეორე მხრივ, კანონით განსაზღვრული მესამე პირების მხრიდან ინიცირებული წარმოება, რომლის საჭიროებასა და მხარდაჭერის ფარგლებს შესაძლოა არ ეთანხმებოდეს მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირი, რაც დავის წარმოშობის საფუძველია. ამგვარი წინააღმდეგობის შემთხვევაში, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს წარმოების სამოქალაქო დავაში გადაზრდის შესაძლებლობას, განსხვავებით უდავო წარმოების წესებისგან, რომელიც დავის წარმოშობის შემთხვევაში, ითვალისწინებს სასამართლოს ვალდებულებას, განუხილველად დატოვოს განცხადება და საქმეში მონაწილე დაინტერესებულ პირებს განუმარტოს საერთო სასარჩელო წესით საქმისწარმოების დაწყების აუცილებლობის თაობაზე.“[102]

4.2 სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში არსებული პრობლემები.

ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმით გათვალისწინებული რეგულირება, რომელიც პრაკტიკაში ხორციელდება აისახება სასამართლო გადაწყვეტილებებში, სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო

[102] გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა მონიტორინგის ცენტრი EMC, თბილისი 2016, გვ. 39.

გადაწყვეტილებების გაანალიზებას, კონკრეტული ინსტიტუტის და კონკრეტული ნორმის სარგებლიანობის განსასაზღვრად.

„მიუხედავად იმისა, რომ მხარდაჭერის ინსტიტუტი უკვე რამოდენიმე წელია საქართველოში ფუნქციონირებს და რაიონული (საქალაქო) სასამართლოებს ასობით გადაწყვეტილება აქვთ მიღებულიამ საკითხთან დაკავშირებით, არ ხდება ამ გადაწყვეტილებების (დაშტრიხული სახით) იმ ოდენობით გამოქვეყნება, რომლითაც განხორციელდება სრულყოფილი კვლევის ჩატარება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში.“[103]

„არსებული და ხელმისაწვდომი სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზიდან გამომდინარე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო დღეის მდგომარეობით ისევ იყენებს ნების ჩანაცვლების მოდელს და აღნიშნულით ფაქტიურად აბრუნებს არაკონსტიტუციურად ცნობილ ქმედუუნარობის სისტემას. სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ მხარდამჭერს მხარდაჭერის მიმღების პირის მონაწილეობის გარეშე შეუძლია განახორციელოს სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული უფლებამოსილებანი.“ [104]

„გადაწყვეტილებებში, იმ უფლებების ჩამონათვალში, რომელშიც პირს მხარდამჭერი დაეინიშნა, ვხვდებით ისეთ უფლებასაც როგორიც არის, მაგალითად, გამოხატვის და რწმენის თავისუფლება. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო მხარდამჭერს ანიჭებს უფლებას, კონკრეტული პირის ნაცვლად იწამოს რომელიმე რელიგია, ან არ იწამოს არცერთი, დაიკმაყოფილოს რელიგიური მოთხოვნილებები, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებები და ა.შ., რაც ლოგიკურად წამოუდგენელია და უპირისპირდება თითოეული ამ უფლების არსს, რომელთა მთავარი მიზანია თავად პირის შინაგანი დამოკიდებულების ქონა და მათი უშუალოდ კონკრეტული პირის ნებით გაზიარება გარესამყაროსთვის, ან ამ გაზიარებაზე უარი თქმა. ამდენად,

[103] იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები ნაშრომის ბოლოს.
[104] იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები ნაშრომის ბოლოს.

შეუძლებელია ამ უფლების შეზღუდვა და მათი რეალიზებისთვის მხარდამჭერის დანიშვნა."[105]

„ასევე სასამართლო გადაწყვეტილებები არის შაბლონური ხასიათის და ბოლო პერიოდში მითითებულია, მხოლოდ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. სასამართლო გადაწყვეტილებებში ვერ ვხედავთ თუ რატომ, რა მიზეზთა გამო მიიღო გადაწყვეტილება სასამართლომ პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობასთან დაკავშირებით. ამასთანავე უმნიშვნელოვანესი საკითხია რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსხვავებული მიდგომები განცხადებაზე თანდართული დოკუმენტების (ცნობების) წარდგენასთან დაკავშირებით. ერთ შემთხვევაში თუ ერთი რაიონის (ქალაქის) სასამართლო განმცხადებელს სთხოვს წარმოადგინოს გარკვეული სახის ცნობა (მაგ. ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ან ცნობა ნარკოლოგიური აღრიცხვიანობის შესახებ) მეორე რაიონის (ქალაქის) სასამართლომ განმცხადებელს შესაძლოა სულაც არ მოსთხოვოს ასეთი ცნობების წარდგენა და ისე მიიღოს გადაწყვეტილება."[106]

შედეგები და მათი განსჯა

სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ამოცანაა დაეხმაროს ქმედუუნარობის და მხარდაჭერის ინსტიტუტით დაინტერესებულ პირებს ამ საკითხებთან დაკავშირებით კვლევის ჩატარებისას და ამ ინსტიტუტების განცობაში, რათა საკითხით დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა ჰქონდეთ გაავლონ პარალელი დღეს მოქმედი მხარდაჭერის ინსტიტუტსა და მის შემოღებამდე არსებულ საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით.

---

[105] საქართველოს სახალხო დამცველი,კვლევის ანგარიში, ქმედუნარიანობა-საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, თბილისი 2016, გვ. 37.
[106] იხ. სასამართლო გადაწყვეტილებები ნაშრომის ბოლოს.

სამაგისტრო ნაშრომი მიმოიხილავს დეტალურად ქმედუუნარობის ინსტიტუტის მოქმედების პერიოდში არსებულ სამართლებრივ რეგულირებას და ასევე საკითხით დაინტერესებულ პირს აცნობს დღევანდელი მხარდაჭერის ინსტიტუტის შესახებ ზუსტ, კონკრეტულ და პრაქტიკაში გამოყენებად ინფორმაციას. ამ ინფორმაციის გამოყენება საქმის საწარმოებლად შეუძლიათ, როგორც პრაქტიკოს იურისტებს ასევე დამწყებ იურისტებს იურიდიული პროფესიაში შემოსვლისას, ვინაიდან ნაშრომი მიმოიხილავს იმ საკითხებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით, თუმცა აუცილებელია საქმის საწარმოებლად სასამართლოში.

ნაშრომში განხილულია მხარდაჭერის მიმღები პირების დღევანდელ უფლებრივი მდგომარეობა ქართულ სამართლებრივ სივრცეში და საუბრობს იმ რამოდენიმე სასიცოცხლოდ აუცილებელი უფლებების შესახებ, რომლის განხორციელებაც ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში ნორმალური ურთიერთობების საწარმოებლად სჭირდება.

ასევე ნაშრომში განხილულია ევროპის ქვეყნების მიდგომები ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირებისას. ნაშრომი აწვდის საინფორმაციო რესურსების მიღების შესაძლებლობას საკითხით დაინტერესებულ პირებს.

დასკვნა

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს რომ, ის საკანონმდებლო ნოვაცია, რომელიც შემოგვთავაზა ქართულმა კანონმდებლობამ და რომელსაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 08 ოქტომბერს მიღებულმა გადაწყვეტილებამ უდავოდ

წინგადადგმული ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის ევროპის წვეყნების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გზაზე.

მხარდაჭერის ინსტიტუტის არსებული საკანონმდებლო რეგულაცია შესაბამისობაშია შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ხედვასთან, გარკვეული გამონაკლისების გათვალისწინებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომლითაც გაუქმდა ქმედუუნარობის ინსტიტუტი, შესაძლებლობა და საშუალება მისცა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებს დაიცვან საკუთარი უფლებები სასამართლოს გზით, შექმნან ოჯახი და დაქორწინდნენ , იყვნენ შრომით ურთიერთობებში დამსაქმებლებთან ან თავად გახდნენ დამსაქმებლები, შეძლონ სამეწარმეო ორგანიზაციის მართვა, მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა შესაძლებლობის ფარგლებში და ასევე განახორციელონ სხვა ყოველდღიური საქმიანობები თავად ან მხარდამჭერის დახმარებით, რომელიც აუცილებელია ნორმალური ცხოვრებისათვის.

მიუხედავად ამ უდიდესი ცვლილებებისა, დღემდე რჩება უამრავი საკითხი და პრობლემა ამ ინსტიტუტის ირგვლივ, რომლის დარეგულირებაც ხელს შეუწყობს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უფლებების უკეთ რეალიზებას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და დაეხმარება მათ თავი იგრძნონ საზოგადოების ღირსეულ წევრებად, რომელსაც სახელმწიფო პატივს სცემს და უწევს აუცილებელ მხარდაჭერას მათი ინტერესების უკეთ გასატარებლად.

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბებას საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისთვის და აღარ იქნება განსხვავებული მიდგომა პროცესის წარმოებისას.

არსებულმა სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ერთ შემთხვევაში ხდება ნების სრული ჩანაცვლებით მხარდამჭერის დანიშვნა, რომელიც ფაქტობრივად აცოცხლებს ქმედუუნარობის ინსტიტუტს ხოლო მეორე შემთხვევაში აჩვენა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები არის მშრალი, შაბლონური შინაარსის და აუცილებელია ინდივიდუალურად მოხდეს პირის შესაძლებლობებისა და უნარების გათვალისწინებით მხარდამჭერის დანიშვნა.

სახელმწიფომ ერთის მხრივ გაატარა რეფორმა, რომელიც იყო წინგადადგმული ნაბიჯი ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან აპროქსიმაციის გზაზე, თუმცა მეორეს მხრივ არ ჩაატარა და არ ატარებს შესაბამისი საინფორმაციო კამპანიას საკითხით დაინტერესებული პირებისათვის და უპირველესად მხარდაჭერის ინსტიტუტით მოსარგებლე პირებისათვის, რათა მოხდეს ცნობიერების ამაღლება ამ საკითხებთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართული და უცხოური სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევითი ნაშრომები

1) შენგელია რ. სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომც.“თბილისი“,2000 წ.
2) ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში, გამომც.“თბილისი“, 2000 წ.
3) ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც.“თბილისი“,2011 წ.
4) ზოიძე ბ. კორძაია თ. სამოქალაო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „თბილისი“ 2017 წ.
5) გვიშიანი ლ. ქმედუნარიანობის სისტემის რეფორმისა და მისი იმპლემენტაციის პროცესის შეფასება, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი. EMC თბ. 2016 წ.

6) საქართველოს სახალხო დამცველი, კვლევის ანგარიში, ქმედუნარიანობა - საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე, თბ. 2016 წ.
7) კუპატაძე თ. თსუ - კონფერენცია ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობა - კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროპეიზაცია“, N1 სპეციალური გამოცემა, 2016 წ.
8) USAID ბროდერიკი ა. გონივრული მისადაგება ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის „ მიხედვით, საქართველოს რეალობა, ითარგმნა ,,კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“- მხარდაჭერით, 2017.
9) კროპჰოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, ითარგმნა თორნიკე დარჯანიას და ზურაბ ჭეჭელაშვილის მიერ, თბილისი 2014 წ.
10) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ზოგადი კომენტარი, N1, ითარგმნა სამხრეთ კავკასიაში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისიის ოფისის მხარდაჭერით, 2014 წ.

ნორმატიული მასალა:

1) საქართველოს კონსტიტუცია.
2) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
3) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
4) საქართველოს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“.
5) საქართველოს ორგანული კანონი ,,შრომის კოდექსი“.

6) საქართველოს ორგანული კანონი ,,საარჩევნო კოდექსი“.
7) საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.
8) საქართველოს ორგანული კანონი ,,საერთო სასამართლოების შესახებ“.
9) საქართველოს ორგანული კანონი ,,სახალხო დამცველის შესახებ“.
10) საქართველოს კანონი ,,იურიდიული დახმარების შესახებ“.
11) საქართველოს კანონი,,საჯარო სამსახურის შესახებ“ .
12) საქართველოს კანონი ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.
13) საქართველოს კანონი ,,ნოტარიატის შესახებ“.
14) საქართველოს კანონი ,,პატიმრობის კოდექსი“.
15) საქართველოს კანონი ,,ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“.
16) საქართველოს კანონი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“.
17) საქართველოს კანონი „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“.
18) საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4/532,533 - საქართველოს მოქალაქეები ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინაღმდეგ.

2) თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, საქმე N 2ბ/1470-17. 06.07.2017წ.

3) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/2623-19. 20.12.2019 წ.

4) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3416/2019. 10.03.2020 წ.

5) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/421-19. 26.03.2020წ.

6) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/9224-18. 30.07.2018წ.

7) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/3812/18. 20.12.2019წ.

8) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/1362/19. 20.12.2019წ.

10) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/166/19. 24.02.2020წ.

11) მცხეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/744-19. 26.03.2020წ.

12) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/24175-18. 29.01.2019 წ.

13) გურჯაანის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე N2/630-19. 27.12.2019წ.

14) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3892/2019წ. 10.03.2020 წ.

15) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/11819-16. 12.01.2018წ.

16) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2-3416/2019წ. 10.03.2020 წ.

17) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/22952-19. 16.04.2019 წ.

18) ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N2/2946/2019წ. 26.02.2020 წ.

19) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/7265-20, 03. 06.2021წ.

20) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/27125-20, 10. 06.2021წ.

21) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/15192-20, 10. 06.2021წ.

22) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/25870-20, 10. 06.2021წ.

23) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/2734-20, 03.07.2020წ.

24) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/29946-20, 01.07.2020წ.

25) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/31090-19, 12.03.2020წ.

26) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/8647-19, 25.02.2020წ.

27) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/1092-20, 07.02.2020წ.

28) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/30257-19, 25.06.2020წ.

29) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/30469-18, 26.07.2019წ.

30) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/3158-19, 18.06.2019წ.

31) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/5365-19, 26.11.2019წ.

32) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის განჩინება საქმეზე N2/5758-19, 02.09.2019წ.

33) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის გადაწყვეტილება, საქმეზე N 2/4693-18. 14.05.2018 წ.

ინტერნეტ რესურსები

1) ედიშერაშვილი თ.მხარდაჭერის ინსტიტუტი<http://www.gruni.edu.ge/other_content/index/790/1574860095> [უკანასკნელად იქნაგადამოწმებული - 04.06.2021].
2) თოდრია თ. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები,დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 05.06.21].
3) Georges j. Legal capacity and proxy decision making < https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Austria>[უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].
4) Kjaerum M. Legal capacity of persons with intellectual disabilities and persons with mental health problems < https://fra.europa.eu/sites/default/files/legal-capacity-intellectual-disabilities-mental-health-problems.pdf> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].
5) Georges j. Legal capacity and proxy decision making < https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/Germany> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].
6) Georges j. Legal capacity and proxy decision making < https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/United-Kingdom-England> [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].
7) Georges j. Legal capacity and proxy decision making https://www.alzheimer-europe.org/Policy/Country-comparisons/2010-Legal-capacity-and-proxy-decision-making/France [უკანასკნელად იქნა გადამოწმებული - 12.06.2021].